*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თინათინ ალავიძე

**წევრები:**

ია ღლონტი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ელისო შურღაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ინგა გელაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

# ნაწილი I.

## შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | სსიპ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 239404266 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული |
| იურიდიული მისამართი | საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული |
| ფაქტობრივი მისამართი | საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული 4 ქუჩა;<br>საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული 39 ქუჩა |
| საფოსტო ინდექსი | 4007 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | სკოლას აქვს ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge -ზე. |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Korbouli2@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | სკოლას ტელეფონის ნომერი არ აქვს |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 17/07/2023 MES 2 23 0000889331 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 29-30 აგვისტო |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებო საფეხური | ქართული | საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული 4 ქუჩა |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საგანმანათლებო საფეხური | ქართული | საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული 4 ქუჩა |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საგანმანათლებო საფეხური | ქართული | საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული 4 ქუჩა |
| 4 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებო საფეხური | ქართული | საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული 39 ქუჩა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 17/07/2023 MES 2 23 0000889331 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: თინათინ ალავიძე წევრები: ია ღლონტი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ელისო შურღაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი; შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი; ინგა გელაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი; ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი; თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი; ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი; ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი; ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი; ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)
დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლაში. (ს/კ:239404266) (შემდგომში - დაწესებულება).

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 29-30 აგვისტოს. ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლაში. ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმა teams-ის გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლა განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლაში დამკვიდრებულია მაღალი თანამშრომლობითი კულტურა და გაზიარებული პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს ადმინისტრაციის მიერ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერას. 2019 წლის ოქტომბრიდან სკოლა თანამშრომლობს კოლეჯ "იბერიასთან". მათ შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომლის მიხედვით სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში" პროფესიული უნარების კურსი "ელექტროობა" ტარდებოდა, ხოლო 2023 წლის აპრილიდან მოსწავლეები ეუფლებიან გრაფიკული დიზაინის კურსს. სკოლაში მოწყობილია და სათანადო ინვენტარით აღჭურვილია სასწავლო ოთახები ელექტროობისა და გრაფიკული დიზაინის შესასწავლად. განათლების კოალიციის მხარდაჭერით, სკოლაში განხორციელდა სოფლის მეურნეობის მიმართულების პროექტი „მცირე მექანიზაციისა და აგრეგატების შესწავლა".



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: 400 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სამივე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა როგორც „სრული შესაბამისობა“.

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*
*ხარვეზი არ დაფიქსირებულა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი 3.4.1.1.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. | 1. სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა, 16.10.2023-30.09.2024 ვადებში, სტანდარტთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) გეგმის მიხედვით.<br>2. სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) გეგმით განსაზღვრულ ვადებში 16.10.2023-30.09.2024 შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა. |

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | ............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული | *რჩევა* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი ...* | | ............... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>დაწყებითი განათლება | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 2.1.2.2.* | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები | დაწყებითი განათლების მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში დაამატონ რესურსები, მიუხედავად იმისა თემაში ახორციელებენ თუ არა კომპლექსურ დავალებებს. |
| *ინდიკატორი 2.1.2.4.* | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს | გამოიყენონ გაზიარებული კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (მე-5 კლასის II სემესტრისა და მე-6 კლასისათვის) |
| *ინდიკატორი 2.2.1.1.* | სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას | დაწყებით საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით | კურიკულუმის ჩარჩოებში ამ ეტაპზე ქვესაკითხები არ არის საჭირო და ასევე მაგალითები შედარებისათვის. |
| *ინდიკატორი 2.2.2.4.* | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. | სწავლის დაწყებამდე განისაზღვროს/დაზუსტდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში (მე-5 კლასის II სემესტრისა და მე-6 კლასისათვის) |
| *ინდიკატორი 2.3.1.3.* | მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. | შეიქმნას და დაიხვეწოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა |
| *ინდიკატორი 2.1.2.5. საბაზო* | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. | მუსიკის პედაგოგებმა გადახედონ საბაზო საფეხურის კურიკულუმს, გაითვალისწინონ თემის ფარგლებში არსებული დასამუშავებელი საკითხების სიმრავლე, დააკავშირონ ჩასატარებელი საათების რაოდენობასთან და აქედან გამომდინარე დააკორექტირონ/შეამცირონ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, ვინაიდან წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები განსახორციელებლად არარეალურ სურათს წარმოადგენს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *2.1.2.2.* | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ შეიმუშავოს XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო სამივე საგანში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლგია). |
| *2.1.2.4.* | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. | ყველა საგანში შექმნას/დახვეწოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მითითებულ ხარვეზებზე. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის პოზიცია.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**
**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შემუშავებულია სკოლის მისია: "ჩამოუყალიბოს მოზარდებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, აზიაროს მეცნიერების საფუძვლებს და დაეხმაროს პროფესიულ ორიენტაციაში ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უფლება მოვალეობების გაცნობიერებაში." - ექსპერტთა შეფასებით, მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლეების ინდივიდუალურ, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე. მისია იძლევა სკოლის იდენტობის ფორმირების საშუალებას, არის გასაგები და მამოტივირებელი, მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რის მიღწევას ცდილობს სკოლა და რა გზით აპირებს თავისი უმთავრესი მიზნის განხორციელებას. მისიასთან ერთად სკოლას შემუშავებული აქვს ხედვა, რომელიც გამომდინარეობს მისიიდან, აღწერილია სკოლის განაცხადი და განსაზღვრულია დროის კონკრეტული პერიოდი, კერძოდ სამი წლის განმავლობაში სკოლა აპირებს, ხარისხის მართვის მექანიზმების სრულყოფით, ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლოო პროცესის ორგანიზებას, ამავე პერიოდში პროფესიული უნარების სააგენტოსა და კოლეჯ იბერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით ავტორიზებული პროფესიული სპეციალობების განხორციელებას. სკოლის ღირებულებები ეფუძნება სამართლიანობას, თანასწორუფლებიანობას, კეთილსინდისიერებას, უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვას, აკადემიურ თავისუფლებას, გუნდურობას და გამჭვირვალობას. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება".**

2. სკოლის მისია და ხედვა პიროვნულ განვითარებაზეა ორინტირებული. სკოლა წარმოადგენს სოციოკულტურულ სივრცეს, სადაც არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, სამედიცინო დახმარების კაბინეტი, მრჩეველთა საბჭო. ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ მოწესრიგებულია. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, თუმცა სკოლის შენობაში გადაადგილებისთვის აუცილებელია ლიფტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოწყობა. სკოლას დაწყებული აქვს ამ საკითხზე მუშაობა. გაგზავნილი აქვს წერილები ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსტან და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მისიითა და ხედვით სრულად განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

3. სკოლის მისისა ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ეს კარგად ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში. დოკუმენტში ჩანს, რომ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, სიტუაციური ანალიზი დგინდება სკოლაში არსებული ანგარიშების შესწავლით და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით. სკოლის მისიის,ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობდა პედაგოგებისა და ადმინისტრაციის, ასევე სამეურვეო საბჭოს წევრებისაგან შემდგარი ჯგუფი. პირველ ეტაპზე განხორციელდა მოკვლევა, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. მოსწავლეების, სკოლის თანამშრომლების, მშობლების გამოკითხვა-გასაუბრების საფუძველზე, სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შემუშავდა სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც გათვალისწინებულია მათი ინტერესები და პრიორიტეტები. კვლევასა და SWOT ანალიზის შედგენაში სკოლას დაეხმარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებისა და პროფესორების ჯგუფი (უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე). **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. რასაც ადასტურებს დიაგნოსტიკური კვლევისთვის შემუშავებული კითხვარები:

როგორ განვახორციელოთ ეფექტიანი თვითშეფასება?

როგორ შევიმუშავოთ სამოქმედო გეგმა თვითშეფასების საფუძველზე?

როგორ განვავითაროთ მონიტორინგის სისტემა სამოქმედო გეგმის მიხედვით?

როგორ გავაძლიეროთ სასკოლო თემის კომპეტენციები თვითშეფასებისა და მონიტორინგის წარმართვაში?

დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა ინტერვიუს, დოკუმენტაციის ანალიზს, კითხვარებს, გაკვეთილზე დაკვირვებას და ფოკუს-ჯგუფებს (მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან). **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

5. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ასახულია სკოლის სასწავლო გეგმაში, განთავსებულია სკოლის ბლოგზე (https://korbouli2.blogspot.com/), ასევე განთავსებულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და წარმოადგენს სასკოლო კულტურის შემადგენელ ნაწილს. ასევე განთავსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების ვებ გვერდზე skolebi.emis.ge. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 13.09.2005 და ბრძანება N194 16.03.2007 განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს: სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლა. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
2. საჯაროობის უზრუნველყოფის ამსახველი ფოტო მასალა;
3. სკოლის ბლოგის ლინკი;
4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
5. პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
6. შემუშავებული კითხვარები;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

#### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას 2022 წლის დეკემბერში შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესებს. მასში გათვალისწინებულია, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, ციფრული განვითარება, სამოქალაქო ცნობიერება და პროფორიენტაცია. სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი, სასკოლო გარემოს ანალიზია. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გამოყენებულია SWOT ანალიზი და PESTLE ანალიზი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (შემდგომში - წესი) წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. გეგმის შედგენის პროცესი მოიცავდა შემდეგი ტიპის სამუშაოების შესრულებას:
განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფების ჩამოყალიბება;
სკოლის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
სამუშაო შეხვედრები და სტრატეგიული გეგმის ძირითადი დოკუმენტის ფორმირება;
შუალედური კონსულტაციები გეგმის ძირითადი დოკუმენტის დასახვეწად;

გეგმის დოკუმენტის პროექტის საბოლოო სახით ფორმირება;
სტრატეგიული გეგმის პროექტის განხილვა;
სტრატეგიული გეგმის დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ;
გეგმის პრეზენტაცია, ანუ გეგმის ბენეფიციართა ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა და სამუშაო გეგმის თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა.
**წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი. განვითარების პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:
   სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა;
   კეთილსინდისიერება;
   უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა;
   აკადემიური თავისუფლება;
   გუნდურობა;
   გამჭვირვალობა.
   სტრატეგიული გეგმა მოიცავს 5 ძირითად მიმართულებას:
   სწავლების დონისა და ხარისხის ამაღლება;
   მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
   მენეჯმენტის დახვეწა;
   მშობელთა გააქტიურება და სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდა;
   პროფესიული სწავლების გაძლიერება. სტრატეგიული გეგმა შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს და მაიზნების შესაბამის ამოცანებს. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
3. სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელსაც სასწავლო წლის დაწყებამდე, დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ მოიცავს 11 მიმართულებას:
   1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება;
   2. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;
   3. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია;
5. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა;
6. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით;
7. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;
8. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;
9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
10. სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება;
10.ჯანსაღი სკოლის კონცეფცია;
11. გენდერულის პასუხისმგებლობის მქონე სწავლება თანაბარი განათლების შესაძლებლობისათვის. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი რეალისტური აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა დანართი;
3. 2022-2023 წლის სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კორბოულის N2 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მე-6 თავში გაწერილია სკოლის სტრატეგიული გეგმის შეფასების და მონიტორინგის სისტემების შემუშავება. სამოქმედო გეგმების ეფექტურობა შეიძლება მოიცავდეს რეგულარულ პროგრესის ანგარიშებს, შეხვედრებს, გამოკითხვებს ან გარე აუდიტს. შეფასება მოიცავს მოსწავლეების სასწავლო შედეგების, მიღწევების შესახებ მონაცემებს, გამოკითხვებს ან დაინტერესებული მხარეების გამოხმაურებას. სტრატეგიული გეგმის გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან საჭიროების მიხედვით. გადახედვის პროცესი მიმდინარეობს განხილვის შედეგების საფუძველზე და მოიცავს რეფლექსიას, უკუკავშირს და გადაწყვეტილების მიღებას. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. ამ ეტაპზე მონიტორინგი მეთოდოლოგიის მიხედვით არ მიმდინარეობს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის პირველადი ავტორიზაციის პროცესი. თუმცა მისი განხორციელება ყოველი წლის ბოლოსთვის იგეგმება. სკოლას აქვს პროცესების მონიტორინგის გამოცდილება. სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი ახორციელებს, საგაკვეთილო დაკვირვებასა და ცალკეული სეგმენტების საქმიანობის მონიტორინგს. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით, მიღებული უკუკავშირებით აკვირდებიან დასახული გეგმების შესრულების პროცესს წლიურ და გრძელვადიან სტრატეგიულ დონეზე. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

3. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარადგენს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, საგანმანათლებლო პროცესის, სწავლების ხარისხის და სხვადასხვა აქტივობის შეფასება. სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების მონიტორინგის გამოცდილება სკოლაში გასაძლიერებელია. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის თანახმად დასტურდება, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლის დირექციასთან და პედაგოგიურ საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში რეგულარულად იმართება პედაგოგთა, დირექციის, კათედრების, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის შეხვედრები, სადაც განიხილება ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებასთან დაკავშირებით, იკვეთება კონკრეტული პრობლემა და ისახება მათი გადაჭრის გზები. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
2. დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
3. საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელების ანგარიშები;
4. შემაჯამებელი დავალებების ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია/ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, მკაფიოდაა განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. პერსონალის უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობით და სკოლა უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი პირობების შეთავაზებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დებულება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა ხელს უწყობს პერსონალს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობების სათანადოდ შესრულებას და დასახული მიზნის მიღწევას. სკოლაში მკაფიოდა განაწილებული მოვალეობები, რომელიც ხელშეკრულებაშია გაწერილი. სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირების (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, სკოლის ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, მუშა, ცეცხლფარეში) უფლება–მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მასწავლებლებისთვის/სპეციალური მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის წესების მიხედვით. სკოლამ პერსონალისთვის ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების გაცნობის ფაქტის შესახებ მტკიცებულებად წარმოადგინა ორმხრივად ხელმოწერილი შრომითი ხელშეკრულებები. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში ფუნქციები გადანაწილებულია სკოლის ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის საჭირო ადამიანური რესურსის ფუნქციების შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც სკოლის მიზნებისა და ძირითადი საქმიანობის შესრულებას უკავშირდება. სკოლის დირექტორის ბრძანებით 2020-2021 სასწავლო წელს დამტკიცებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები. დოკუმენტის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი თავის საქმიანობაში ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: გამჭვირვალობა, საჯაროობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის (PDCA) პრინციპით. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
2. 2023-2024 წლის სკოლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
4. სკოლის სტრუქტურა;
5. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება შინაგანაწესით და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. ორივე დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანი მართვა მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვას და რეალიზებას, გაზიარებულ პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას, სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობასა და მხარდაჭერას. თვითრეგულაციის და თვითმართვის უნარების განვითარებას. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“**

3. დირექტორის 2023 წლის 30.08 N2-52 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს სკოლაში მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე პერსონალის შერჩევის პირობებსა და პროცედურებს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www.pedagogi.ge/teachersjobs.ge.
კონკურსის ეტაპებია:
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა;
- გასაუბრება;
- კონკურსის შედეგების განსაზღვრა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N174/ნ ბრძანებაში შესული ცვლილების თანახმად, საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია, სკოლის თანამშრომლების გარდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლებით. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს საჯარო სკოლის დირექტორს, რომელიც უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
**წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
4. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტისა და გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლაში დასაქმებულია 13 წამყვანი და 4 მენტორი მასწავლებელი. თანამშრომელთა პირად საქმეში დევს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

5. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო პროექტებით თვალნათელია, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა და სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდური მუშაობის პრინციპზეა დაფუძნებული. სკოლა პირველ ეტაპზე ჩაერთო ახალი სკოლის მოდელში და ამ წლების მანძილზე, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განხორციელებული აქვს პროექტები: „ჯანსაღი ცხოვრება, როგორც პიროვნული ღირებულება და დამოკიდებულება“; „რა განძი გვქონია“; „უსაფრთხოების სადარაჯოზე“; “გენდერული პასუხისმგებლობის მქონე სწავლება თანაბარი განათლების შესაძლებლობისათვის“. სკოლაში მოქმედებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. კათედრებს თანამშრომლობით განხორციელებული აქვთ ერთობლივად დაგეგმილი ინტეგრირებული პროექტები. მასწავლებლებს აქვთ კარგი გამოცდილება ერთმანეთისთვის სასწავლო რესურსების გაზიარების. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
6. სკოლის დაწყებით საფეხურზე დანერგილია ლიდერი მასწავლებლის კულტურა. ლიდერი მასწავლებლები ჩართულები იყვნენ USAID-ის დაწყებითი განათლების პროგრამაში, ესწრებოდნენ ტრენინგებს და სიახლეებს, სამუშაო ჯგუფებში, უზიარებდნენ მასწავლებლებს. სკოლა წარმატებული გამოცდილებისა და გაზიარების მიზნით იყენებს ბლოგს https://sacxerekorbouli.blogspot.com/ , https://korbouli2.blogspot.com/ ასევე ფეისბუქ გვერდს https://www.facebook.com/gelagela5555. ასევე, აქტიურად იყენებენ თიმსის პლატფორმას ინფორმაციის გაზიარების მიზნით. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
სკოლის შინაგანაწესი;
შრომითი ხელშეკრულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა და თანამშრომელთა მიღების წესი;
მასწავლებელთა პირადი საქმეები;
საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის პერსონალის შეფასების და პროფესიულ საჭიროებათა დადგენის ქმედებები და მიზნები თავსებადია სკოლის მიზნებსა და სტრატეგიულ ხედვასთან, სამოქმედო გეგმებთან და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სამ ძირითად მიმართულებად იყოფა: ა) სწავლა-სწავლება ბ) სასკოლო მენეჯმენტი-სასკოლო კულტურა გ) მართვის პასუხისმგებლობა - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება. მასწავლებელი მუდმივად ადგენს საკუთარ პროფესიულ საჭიროებებს, აკეთებს თვითშეფასებას, ადგენს პროფესიული განვითარების გეგმას, შეაქვს ცვლილებები საჭიროების მიხედვით მონიტორინგის საფუძველზე განვითარების გეგმაში, ესწრება ვებინარებსა და ტრენინგებს, მონაწილეობას იღებს კონფერენციებსა და ფორუმებში, მზად არის ექსტრემალურ სიტუაციაში პროცესების მართვის სისტემური ადაპტირებისათვის (ონლაინ სწავლება) შედეგის მიღწევისათვის მასწავლებელს ესაჭიროება შესაბამისი სამუშაო გარემოს, ჯანსაღი კლიმატის, შესაბამისი ფიზიკური ატმოსფეროს შექმნა: ინტერნეტი, გათბობა, სასწავლო რესურსები: საკანცელარიო ნივთები, ელექტრონული რესურსი, გამართული ინფრასტრუქტურა, რასაც უზრუნველყოფს სკოლის დირექცია. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილია სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. პროფესიული განვითარება გულისხმობს შემდეგ ეტაპებს: პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას საჭიროებების ანალიზის საფუძველზე და შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აქტიურად მუშაობს პერსონალის შეფასებასა და განვითარებაზე, კერძოდ, წინასწარ შემუშავებული რუბრიკებით ახდენს გაკვეთილებზე დასწრებას, შესაბამისი უკუკავშირს მიცემას პედაგოგის პრაქტიკის დახვეწისა და განვითარების მიზნით. ასევე, ხარისხის მართვის ჯგუფი აკვირდება და აფასებს საგნობრივი კათედრების მუშაობას და განიხილავს სასწავლო წლის განმავლობაში კათედრაზე შემავალი ყველა საგნის მასწავლებლის ნამუშევარს, რომელიც პედაგოგს განთავსებული აქვს საკუთარ პორტფოლიოში. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. განიხილავს და იზიარებს მათ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. აცნობს სიახლეებს და უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების რელევანტური განვითარების გზების შეთავაზებას. სკოლა ცართულია რამოდენიმე პროექტში. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს სასწავლო ქოუჩინგის ტრენინგები და დანერგეს სკოლაში. ქოუჩინგის მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ უნარი მართონ საკუთარი სწავლის პროცესი უკეთესი შედეგის მისაღწევად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქოუჩინგის განხორციელების გეგმა:
1.ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმის შედგენა
2.სამიზნე ჯგუფის შერჩვა (მეექვსე კლასი)
3.ქოუჩების შერჩევა
4.ქოუჩების გადამზადება (ტრენინგები)
5.მშობლების ინფორმირება პროცესის შესახებ
6.ქოუჩების ოთახის მოწყობა
7.რესურსების მომარაგება, შეძენა
8.მშობლების, მოსწავლეების, პედაგოგების აზრის გამოკითხვა.
თითეულ ქოუჩს ჰყავს 8 მოსწავლე, სკოლაში გადამზადდა ორი ქოუჩი 16 მოსწავლისათვის. ქოუჩინგის შეხვედრები ტარდება ორ კვირაში ერთხელ და გრძელდება 15 წთ. შედეგების მიხედვით, მოსწავლეებს გაუუმჯობესდათ შემდეგი კომპეტენციები: კომუნიკაციის უნარი, პიროვნული ზრდა, იმედგაცრუების გადალახვა, თვითანალიზის უნარი, თვითაღქმა, თვითეფექტურობა, საკუთარი პასუხისმგებლობა, მიზანდასახულობა, აკადემიური მოსწრების ამაღლება. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია:
მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ;
შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი;
„ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა.
იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ამაში მხარდაჭერას უწევს სკოლის მიერ დანიშნული მენტორი მასწავლებელი. მენტორი მასწავლებელი უზრუნველყოფს საორიენტაციო სესიების ჩატარებას ახალი მასწავლებლების ადმინისტრაციული პროცესების, სწავლების მეთოდოლოგიებისა და ხელმისაწვდომი რესურსების გასაცნობად. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

5. სკოლა, თავისი მატერიალური და მორალური მხარდაჭერის ფარგლებში, მუდმივად ცდილობს წაახალისოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ეს იქნება პედსაბჭოზე გამოთქმული სიტყვიერი მადლობა თუ მცირე მატერიალური წახალისება პრემიის სახით. სკოლა ორიენტირებულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებაზე და გამოხატავს მუდმივ მხარდაჭერას. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ სქემით განსაზღვრული მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად წარადგინა განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მიღწევების, ასევე ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების გამო ისტორიის პედაგოგი. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს მასწავლებლები საჭირო ინვენტარითა და სასწავლო რესურსებით. სკოლა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების გამო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრემიას გამოყოფს ტექნიკური პერსონალისთვის. დასაქმებულთა წახალისების ფორმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესის მე-20 მუხლში. დოკუმენტის მიხედვით, წახალისებისთვის სკოლა იყენებს მადლობის გამოცხადებას, სიგელით/ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვებას, ერთჯერად პრემიას. სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისთვის შესაძლოა გამოიყენოს ექსკურსიის დაფინანსება. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;

ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა;

ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში და სხდომის ოქმი.

პერსონალის თვითშეფასების ფორმები, მასწავლებლების რეფლექსიები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის პედაგოგიურ საზოგადოებასთან საუბრით გამოიკვეთა, რომ მათ ზუსტად ესმით სკოლაში მიმდინარე პროცესების არსი. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკა. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლამ ახორციელებს სასწავლო პროგრამების შეფასებას. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“**

2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით სკოლაში პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითადი პროცესებში შედის კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დამხმარე პროცესებში შედის მოსწავლეთა სერვისების

განხორციელება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, მატერიალური რესურსის მართვა, ადამიანური რესურსის მართვა, ფინანსური რესურსის მართვა, საბიბლიოთეკო სერვისის განხორციელება. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა.
**წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“**

3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 30.08 N2-64 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, მასწავლებლის, პერსონალის საჩივრის განხილვის პროცედურები. დოკუმენტი წარმოადგენს სკოლისთვის ადმინისტრირების მექანიზმის ხელშეწყობას მასწავლებლის, მოსწავლის, პერსონალის უფლებების დაცვის მიმართულებით, რომელშიც პროცედურული წესებითაა განსაზღვრული თუ ვინ შეიძლება წარადგინოს საჩივარი, როგორ არის შესაძლებელი საჩივრის წარდგენა გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში, ვინ უნდა მიიღოს საჩივარი და როგორ უნდა მოხდეს მისი განხილვა დასაშვებობის შემთხვევაში, გასაჩივრების მექანიზმის ან პრობლემის მოგვარების ინიციატივის მეშვეობით, ან ორივეს კომბინაციით. წესებში ასევე განსაზღვრულია მოთხოვნები ვადების, ანგარიშგების, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, ტრეინინგის, მხარდაჭერის პროგრამის და გასაჩივრების მექანიზმის ადმინისტრირებისათვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხების შესახებ. სკოლის შინაგანაწესის 46-ე მუხლში გაწერილია განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომისია 2 მასწავლებლის, 2 მშობლის და 2 საშუალო საფეხურის მოსწავლის შემადგენლობით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
4. სკოლის დირექტორის 2023 წლის 30.08 N2-59 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი. ასევე, სკოლას შინაგანაწესში ჩადებული აქვს პერსონალის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და სკოლას შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ხარისხის მართვის დოკუმენტი;

დისციპლინური კომისიის სხდომის ოქმი;

მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;

სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის, მასწავლებლის, პერსონალის საჩივრის განხილვის პროცედურების შესახებ;
სკოლის შინაგანაწესი.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა განსაზღვრულია მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც გაწერილია ორმხრივი უფლება-მოვალეობები. სკოლას აქვს ქმედითი და მუდმივად განახლებადი სოციალური ქსელები https://sacxerekorbouli.blogspot.com/; https://www.facebook.com/gelagela555, რომლის მეშვეობით ახდენს საზოგადოების ინფორმირებულობას ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე. ინფორმაცია სკოლის შესახებ განთავსებული აქვს ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge. სადაც ატვირთულია სკოლის მისია, სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ სკოლაში პერიოდულად ტარდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, სადაც მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებთან დაკავშირებით. ასევე მასწავლებლებისთვის შექმნილ მესენჯერ ჯგუფში, სკოლის დირექცია აანონსებს ყველა მნიშვნელოვან საკითხს და იღებს უკუკავშირს. Teams პლატფორმაზე შექმნილია სივრცე მასწავლებლებისთვის, რომლის საშუალებითაც ხდება სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე შეხვედრები. სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში (საჭიროებიდან გამომდინარე სხვა დროს) მართავს მშობელთა საერთო კრებას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული დასტურდება სამოქმედო გეგმაში ასახული შესასრულებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხების და პასუხისმგებელი პირების მრავალფეროვნებით და ინკლუზიურობით. ასევე, პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებით, სადაც ნათლად ჩანს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. სკოლამ წარმოადგინა მათი მუშაობის ამსახველი ოქმები. სკოლას გასულ წელს აქტიურად ჰყავდა ჩართული მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები სკოლის თვითშეფასების პროცესში. სკოლის მიერ დაგეგმილი შეხვედრებით აიმაღლეს ამ მიმართულებით ცნობიერება და თვითონვე მონაწილეობდნენ ამ პროცესებში. სკოლამ წარმოადგინა ამ შეხვედრების ამსახველი საპრეზენტაციო მასალები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი ოქმები;

მოსწავლეთა გამოკითხვა;

მოსწავლეებთან შეხვედრის პრეზენტაცია თვითშეფასებაზე;

თვითშეფასების პრეზენტაცია;

მშობლებთან შეხვედრის პრეზენტაცია;

სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს ფიზიკური უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მანდატური და სკოლის დირექცია. სკოლამ წარმოადგინა სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის **საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც** შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის" მე-5 მუხლისა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის საქმიანობის საფუძველს და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის" განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას. გეგმა შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. 2020 წლის 22 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციიების მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა სკოლის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. ამ მოკვლევის დასკვნის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „დეტექტთან", რომელიც ამზადებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამის პროექტს. სკოლის შენობის კონსტრუქციის მდგრადობის შესწავლისა და შესაბამისი დოკუმენტის გაცემისთვის საჭირო პროცედურების დაწყების მიზნით, სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი შპს „ექსპერტიზასთან". სკოლამ წარმოადგინა სტანდარტის უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით იღებს ვალდებულებას შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ გეგმების მოპოვებას შეძლებს 2024 წლის 30 სექტემბრამდე. რადგან ამ მიმართულებით სკოლას სამუშაოები დაწყებული აქვს ხარვეზის გამოსწორების პერიოდი გონივრულია. შესაბამისად **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილი".**

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' და სკოლის დირექტორის 2023 წლის 30.08 N2-56 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები" შესაბამისად, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სკოლა ანხორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს. ამავე წესის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დირექტორის მოადგილე, რომელიც ამავდროულად არის სკოლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების დაცვის შესახებ, ასევე, აცნობს სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას. გასულ სასწავლო წელს სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა საგანმანათლებლო საინფორმაციო კამპანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც სკოლას აქვს ხანძარსაწინაარმდეგო საშუალებები, რომლებიც განთავსებულია სართულებზე და სკოლის ეზოში, სკოლაში მოწყობილია 25 ტონიანი წყლის რეზერვუარი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის, ფოიეში ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და 112-ის ნომერი. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგელებისა და სკოლის დირექციის მიერ ხდება სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხოების წესების გაცნობა. სკოლაში შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები. დღისა და ღამის დარაჯები 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკურ უსაფრთხოებას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას ჰყავს ექიმი და ფუნქციონირებს შესაბამისი კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლის ექიმი აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და უზრუნველყოფს როგორც პირველადი დახმარების გაწევას, ასევე ზრუნავს სკოლაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს და მოქმედებს სამედიცინო დახმარების, პირველადი დახმარების აღმოჩენის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმები. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება".**

3. სკოლის დირექტორის 30.08.2023 წლის N2-57 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები. მოსწავლეებისათვის, მათი

კანონიერი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ან/და მასწავლებლებისათვის ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი. ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევის საფუძველია: მანდატურის/უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ან/და მასწავლებლის რეფერირება ან მოსწავლის მიერ ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრისთვის მიმართვა. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლა ცდილობს სასკოლო გარემოში იყოს ღია კომუნიკაცა და პატივისცემით ურთიერთქმედებები. სკოლაში განხორციელებულია პროექტები: მოსწალეთა ქოუჩინგი-მოსწავლეებმა გააცნობიერონ და შეძლონ თავიანთი ემოციების მართვა.
ბულინგის საწინააღმდეგო აქტივობები, ინკლუზიური გარემოს შექმნა, სადაც მრავალფეროვნება აღინიშნება და ყველა ჩართულია. თანატოლთა მხარდაჭერის პროგრამები. ფიზიკური ჯანმრთელობის აქტივობები, კონფლიქტების მართვის აქტივობები, მშობლების ჩართვა სკოლის აქტივობებში და გადაწყვეტილებებში. თავისუფალი უსაფრთხო სივრცეების მოწყობა სკოლაში. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. სკოლის დირექტორის 30.08.2023 წლის N2-55 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. დოკუმენტით განსაზღვრული წესები ვრცელდება სკოლის მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეზე, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეებზე. სკოლა ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით სარეცხი საშუალებების გამოყენებით.სკოლის ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება ხოლო ნაგავი გროვდება და იყრება ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომელიც შენობიდან არანაკლებ 25-30 მეტრის მოშორებითაა განთავსებული. ყოველდღიურად ხორცილედება მყარი ნარჩენების შეგროვდება ოთახებში განთავსებულ თავდახურულ ურნაში და უსაფრთხო გატანა შენობიდან. სკოლას გააჩნია სასმელი წყალი, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის. სკოლის მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროოლი ევალება სკოლის ექიმს. მასვე ევალება ზედამხედველობა გაუწიოს სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას და განახორციელოს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესი, მავნე ჩვევების დაძლევა, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა. სკოლაში ტარდება დასუფთავების აქციები სასკოლო საზოგადოების ჩართულობით წელიწადში ორჯერ/სამჯერ. სასკოლო საზოგადოების მაღალი თვითშეგნება ხელს უწყობს შესაბამისი სივრცის ჰიგიენური ნორმების შენარჩუნებასა და დაცვას. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

5. სკოლის დირექტორის 16.02.2021 წლის N2-07 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები. ამავე წლის N2-08 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე). სკოლას ჰყავს დირექტორის სამართლებრივი აქტით

განსაზღვრული პირი, საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვაზე. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

6. სკოლის ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია ლიცენზირებული პროგრამა, რომელსაც უზრუნველყოფს სკოლის მიერ ხელშეკრულებით აყვანილი აიტ სპეციალისტი. მის ფუნქციებშია სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში და სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის პერიოდულად განახლება. ასევე მუშაობის პროცესში სკოლა იყენებს emis-ის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს, რომელიც უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამებით და დაცული ვებ-გვერდების გამოყენებით. სკოლის დირექტორის 2021 წლის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები. ამ დოკუმენტში აღწერილია პერსონალური მონაცემების დაცვის და დამუშავების პრინციპები. სადამრიგებლო პროგრამებში ჩადებულია საკითხი საუბარი თემაზე, როგორ დავიცვათ თავი კიბერ ბულინგისაგან. დოკუმენტის - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“ თანახმად მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.
ყოველივე ზემოთქმული ასახულია სკოლის პერსონალის ხელშეკრულებებშიც, რომელთა შესწავლით დგინდება რომ მათ აქვთ ვალდებულება დაიცვან და არ გაამჟღავნონ სხვისი პერსონალური მონაცემები, რომელიც ცნობილი გახდა მათთვის პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე. **წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

7. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას. სკოლის დირექცია, უფლებამოსილი პირი, მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელი პირი აკვირდებიან სკოლაში მიმდინარე პროცესებს. სკოლა იყენებს თვითშეფასების კითხვარებს უსაფრთხოების მექანიზმების შესაფასებლად. გასულ სასწავლო წელს ჩატარდა ასეთი გამოკითხვა და კითხვარების ანალიზით დადგინდა - გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობის მოსაზრებით, მათი შვილები დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, ხოლო მოსწავლეთა უმრავლესობის მოსაზრებით სკოლა ყველა პირობას ქმნის, რომ მათ თავი, როგორც ფიზიკურად ასევე ფსიქოლოგიურად უსაფრთხოდ იგრძნონ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს კონკრეტულ აქტივობებს. მაგ სასკოლო საზოგადოებამ აიმაღლოს ცნობიერება ინტერნეტ-სივრცეში არსებული საფრთხეების შესახებ და განივითაროს ამ საფრთხეებისაგან თავდაცვის უნარები. მოსწავლეები შექმნიან პრეზენტაციებს პირადი ინფორმაციის დაცვასთან და კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე მოამზადებენ პლაკატებს, ბროშურებს და სკოლის საერთო სივრცეში გაუზიარებენ ერთმანეთს. მოეწყობა დისკუსია და პრაქტიკული მაგალითების გაზიარება. მშობელთა ცნობიერების ამაღლებასთან ერთად სკოლა შეეცდება მათთან ერთად განიხილოს ის საფრთხეები, რაც ონლაინ სივრცეს შეიძლება ახლდეს თან და შეიმუშავებს შესაბამის სამოქმედო გეგმას. სკოლა გეგმავს მოსწავლეებთან ერთად ციფრულ სამყაროში ქცევის წესების შემუშავებას გზამკვლევის სახით, რაც აუმაღლებს სასკოლო საზოგადოებას ინტერნეტ სივრცეში სოციალური პასუხისმგებლობას და დაიცავს მათ. სკოლა ორგანიზებას გაუწევს კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შესაბამის პროექტებს, კონკურსებს, გამოფენებს, პრეზენტაციებს, რომელსაც ექნება სისტემატიური ხასიათი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი სკოლის საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმებაზე;

- საგანგებო მართვის გეგმა;
- წერილი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- წერილი შენობის მდგრადობის შესახებ;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;
- სკოლის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები;
- ფსიქოლოგთან მიმართვის დოკუმენტი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- ექიმის ხელშეკრულება;
- ფსიქოლოგთან შეხვედრის მტკიცებულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 2023 წლის, რომლის მიხედვით სკოლა მდებარეობს მისამართზე: რაიონი საჩხერე, სოფელი კორბოული. შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 5774,20 კვ.მ. და მასზე დამაგრებული 9000კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ასევე სკოლას შემოერთებული აქვს ამავე თემში არსებული კორპუსი საერთო ფართით 34,71 კვ.მ. და მასზე დამაგრებული 880კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ამ კორპუსში სწავლობს დაწყებითი კლასის 2 მოსწავლე. სკოლას აქვს თანამედროვე დიზაინის ახალი სამსართულიანი სასწავლო კორპუსი, დამხმარე შენობა-ნაგებობით (საქვაბით). შენობაში მდებარეობს საკლასო ოთახები, რესურსოთახი, ექიმის ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სასადილო, მანდატურის ოთახი, ოთახები დირექციისთვის. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება და აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით. საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში დგას სადათანადო ინვენტარით აღჭურვილი დახურული კარადები. არის ონკანი და ცეცხლგამძლე მასალით დამზადებული სადემონსტრაციო მაგიდა. გამწოვი კარადა არ არის დამონტაჟებული. ლაბორატორიის გვერდით არის რესურსების ოთახი, სადაც ინახება ლაბორატორიის აღჭურვილობა. კომპიუტერული ლაბორატორიაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, პროექტორი და პრინტერი. სკოლას აქვს 21 ნოუთბუქი და პროექტორი. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული წიგნადი ფონდი, რომელიც აღრიცხულია კატალოგში. მათ შორისაა ყველა გრიფირებული სახლმძღვანელო, ასევე დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში მოქმედებს მკითხველის ბარათები, ჩატარებულია ინვენტარიზაცია. სკოლას ძირითად შესასვლელში აქვს პანდუსი. სკოლის შენობა და ინვენტარი იძლევა საშუალებას დაწესებულების საქმიანობის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის გარემო უზრუნველყოფს სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლას აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 30.08.2023 წ. №2-60 ბრძანებით. წესში გაწერილია ძირითადი პრინციპები (ხელმისაწვდომობა, თანასწორუფლებიანობა), ასევე ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, ინფორმატიკის კაბინეტით და სპორტული დარბაზით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის შენობას შესასვლელში აქვს პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა გადაუდებელი საჭიროებებისთვის გათვალისწინებულ გადაადგილებას. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას არ აქვს ლიფტი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის შენობა, დიდი სპორტული მოედანი, კეთილმოწყობილი ეზო ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელიც იძლევა, სხვადასხვა შემეცნებითი თუ სოციო-კულტურული აქტივობის, განხორიცლების შესაძლებლობას. აქ ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები, პროექტების პრეზენტაციები, წლის ნებისმიერ დროს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პიროვნული, კულტურული და თვითგამოხატვის ხელშემწყობი პიროებების შესაქმნელად.სკოლაში არსებული სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით/ინვენტარით, სადაც მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ აქვთ დარჩენის, შეკრების, საუბრის შესაძლებლობა. სკოლას აქვს დახურული სპორტ დარბაზი აღჭურვილი სხვადასხვა სახალისო და შემეცნებითი განვითარებისთვის საჭირო ინვეტარით. სკოლა აქვს Wi-fi სისტემა, რომელიც ფარავს მთლიან შენობას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

5. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული საჭირო რესურსი. ფიზიკისა და ბიოლოგიის გაკვეთილებისთვის განკუთვნილი რესურსები პატარა ოთახებში, კარადებშია მოთავსებული და მასწავლებელს, საჭიროების შემთხვევაში, გააქვს გაკვეთილზე. სკოლაში არის სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება: რუკები, პლაკატები, მოდელები (მათ შორის მოსწავლეების მიერ შექმნილი). რესურსოთახი აღჭურვილია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსით. სკოლამ წარმოადგინა ცალკეული პედაგოგის ელექტრონული რესურსების კატალოგი. სკოლის მასწავლებლების მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსები განთავსებულია სკოლის ბლოგზე. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის სქემა;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი;
- დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას აქვს კომფორტული კომპიუტერული კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტის ქსელით, სკოლას ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში გადაეცა 31 პორტაბელური კომპიუტერი HP 255 G7 Notebook, 3 პროექტორი, დამტენი კარადა. საკლასო ოთახები აღჭურვილია WiFi

სისტემით. სკოლას აქვს სენსორული ეკრანი. მოსწავლეებს სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში აქვთ საშუალება ისარგებლონ ინტერნეტითა და კომპიუტერით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა როგორც სასწავლო რესურსზე წვდომის ასევე პრაქტიკული დავალებების ერთდროულად შესრულების და შედეგების მყისიერი დაფიქსირების. სკოლა ჩართულია პროექტში ,,ციფრული სკოლა": რომლის ფარგლებში სკოლა ირჩევს ციფრული რესურსებს მოსწავლეებში რეფლექსიის განსავითარებლად სადაც მოსწავლეებს მიეცათ საშუალება თვალი ადევნონ საკუთარი განვითარების პროგრესს სწორედ ტექნოლოგიების გამოყენებით. კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ადმინისტრაციის ოთახებში, მუსიკის კაბინეტში, ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტსა და შეხვედრების ოთახში. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლამ ck 12 პროექტის ფარგლებში პრიზის სახით მიიღო პროექტორი და ეკრანის დაფა. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება".**

2. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა. დოკუმენტიდან ჩანს, რომ სკოლა არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკის განახლებაზე ან პროგრამული უზრუნველყოფის და ახალი ელექტრონული რესურსების დანერგვაზე, არამედ გეგმავს ისეთი მიდგომების დანერგვასაც, რომლებიც პასუხობს როგორც სწავლა-სწავლების, ასევე სკოლაში არსებულ სხვა ორგანიზაციული პროცესების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და ხელს უწყობს სკოლაში ერთიანი ციფრული სისტემის ჩამოყალიბებას. სკოლას გაწერილი აქვს განრიგი, რომელიც გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, კომპიუტერულ ლაბორატორიასთან და სამასწავლებლოში. გარდა ამისა, ინფორმაცია კომპიუტერული ლაბორატორიის შესახებ, მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს მისთვის განკუთვნილი სივრცით გაკვეთილების შემდეგ 17:00 საათამდე და წინასწარი შეთანხმებით შაბათ - კვირას. სკოლას გაწერილი აქვს განრიგი მასწავლებლებისთვისთვისაც. მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს მისთვის განკუთვნილი სივრცით გაკვეთილების შემდეგ 17:00 საათამდე და წინასწარი შეთანხმებით შაბათ - კვირას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებით დანიშნული ინფორმაციული მენეჯერი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება".**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
ინტერნეტის მოწყობილობები;მიღება-ჩაბარება (გრაფიკული დიზაინი);
მიღება-ჩაბარება (ლეპტოპები გრაფიკული დიზაინის ფარგლებში);
მიღება-ჩაბარება (lenovo 8 ავტორიზაციის ფარგლებში);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის საქმისწარმოების წესი შემუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისად. საქმისწარმოების წესი არეგულირებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვას და რეგისტრაციას, მოსწავლეთა მოძრაობას, სკოლის არქივის დაცვას და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემას, შემოსული კორესპოდენციის რეგისტრაციას და დამუშავებას, საჭიროების შემთხვევაში ადრესატისთვის წარდგენას, მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებას. სკოლის დირექტორის ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებებისა და გასაგზავნი წერილების პროექტების მომზადებას. სკოლის საქმისწარმოება მიმართულია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგების, დოკუმენტების პროექტების შედგენისა და დოკუმენტების გაფორმების ხარისხის ამაღლების, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტური ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო პირობების შექმნისა და სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისაკენ. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული (eflow) და მატერიალური ფორმით. ელექტრონული საქმისწარმოება ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების მატერიალური და ელექტრონული დამუშავების თავსებადობას. სკოლაში, ასევე გამოყენებულია eschool, სკოლის ელფოსტა korbouli2@mes.gov.ge და korboulismeore@gmail.com საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ძირეულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია საქმისწარმოების სწორად წარმართვაზე. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შევსებულია ყველა სავალდებულო ველი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ამსახველი სქრინები;
საქმისწარმოების წესი;
პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური

მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სკოლა იყენებს: ოფიციალურ facebook გვერდს, ელექტრონულ ფოსტას: korbouli2@mes.gov.ge, სასკოლო აქტივობების ბლოგს, Teams-ის პლატფორმას. სკოლამ, ასევე, გაააქტიურა ვებ გვერდი skolebi.emis.ge-ზე, სადაც ატვირთულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა და სტრატეგიული განვითარების გეგმა. სოციალურ ქსელში ინფორმაციის გაზიარებაზე პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებით დანიშნული საინფორმაციო მენეჯერი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
3. სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესს ახორციელებს როგორც სოციალური ქსელის დახმარებით ასევე , სატელეფონო შეტყობინებებით, ინდივიდუალური შეხვედრებით და მიღებულ უკუკავშირს იყენებს სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას მშობლები ჩართული ყავდა თვითშეფასების მექანიზმების შემუშავებაში, (სვოტის გაცნობა) რომელიც ხორციელდებოდა ძირითადად Teams -პლატფორმის გამოყენებით, რაც გულისხმობდა სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები, მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაშია მიღებული სკოლის საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. სკოლამ ციფრული ტრანსფორმაციის გეგმის შესადგენად გამოიყენა ფორმსის კითხვარი, რამდენ მოსწავლეს ჰქონდა ხელმისაწვდომობა კომპიუტერულ ტექნიკაზე და ასრულებდა თუ არა დავალებას კომპიუტერზე. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი, რომელიც განთავსებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდზე - https://skolebi.emis.ge/. ასევე აქვს ბლოგი და ფეიბუქ გვერდი, რომელზედაც მუშაობა ხორციელდება ქართულ ენაზე, სადაც მუდმივად ხდება საჯარო ინფორმაციისა და სკოლაში მიმდინარე პროცესების ასახვა.
https://www.facebook.com/gelagela5555
https://sacxerekorbouli.blogspot.com **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ვებ გვერდი skolebi.emis.ge-ზე ატვირთულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა და სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლის ბლოგზე https://sacxerekorbouli.blogspot.com ატვირთულია მასწავლებლების მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები, მასწავლებლების მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსები, ინფორმაცია სკოლაში განხორციელებულ სასკოლო პროექტებზე და ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, პრეზენტაციები, ინფორმაცია სკოლაში არსებული კლუბების შესახებ. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის-ციფრული-განვითარების-გეგმა;
ვებ გვერდი skolebi.emis.ge-ზე
სკოლის ბლოგი https://sacxerekorbouli.blogspot.com
სოციალური ქსელი https://www.facebook.com/gelagela5555

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მიერ წარმოადგენილი ბიუჯეტით, გათვალისწინებული ფინანსები მიზნობრივად ნაწილდება სახელფასო და საჭირო საგანმათლებლო რესურსებზე. ბიუჯეტში გათვალისწინებულია დასაქმებულთა რაოდენობა, საპროგნოზო შემოსავლები, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ვაუჩერულ დაფინანსებას, სკოლაში მოქმედი პროგრამების ფინანსურ უზრუნველყოფას და საკუთარ შემოსავლებს იჯარის სახით. საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია ასევე საპროგნოზო ხარჯები, რაც მოიცავს ხელფასის ხარჯს, კომუნალურ გადასახედებს, საკანცელარიო საქონელს, ჰიგიენისა და დეზინფექციის საშუალებებს, სასკოლო პროექტების ხარჯებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და სხვადასხვა გაუთვალისწინებელ ხარჯს. სკოლაში წინასწარ დაგეგმილია ფინანსების მართვა და შექმნილია სამოქმედო გეგმა. პერიოდულად ხდება სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. ხორციელდება ბაზრის კვლევა, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცდა და აიტვირთა Eplan-მოდულში. საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების წლიური გეგმის კორექტირება. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სკოლის თანხების ხარჯვა ხორციელდა წინასწარ დასახული მიზნებისა, ამოცანების შესასრულებლად და სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევასა და შესყიდვების გეგმის ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირი. ფინანსური რესურსების მართვა ხდება ეფექტიანად და სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი არ ფერხდება. სკოლას წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენილი აქვს წლიური ფინანსური ანგარიში. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

10 დეკემბრის ანგარიში;
კორექტირებული ბიუჯეტი;
სამეურვეოს ოქმი ბიუჯეტის კორექტირებაზე;
წლიური საფინანსო ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2020 წლის 25 0ქტომბერს და რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა მოვალეობები, მუხლი 33. მოსწავლის წახალისების ფორმები, მუხლი 36. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და სახდელები, მუხლი 40. მოსწავლეთა დისციპლინური წარმოება, თავი 11. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, თავი 12. მოსწავლის ჩაცმულობის წესი, მუხლი 45. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. შინაგანაწესის შექმნაში აქტიურად არინ ჩართული მოსწავლეები, გათვალისწინებულია მათი შეხედულებები.

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

სკოლას აქვს შინაგანაწესი;

სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო;

სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი;

სკოლას ყავს მანდატურები/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;

სკოლის ექიმი;

თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი;

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს უფლება აქვს ჰქონდეს უსაფრთხო გარემო. სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელშიც გაწევრიანებული არიან როგორც საშუალო ისე საბაზო საფეხურის მოსწავლეები, ისინი მონაწილეობენ დისციპლინურ კომიტეტში და სამეურვეო საბჭოში, სადაც ახდენენ თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სასკოლო საზოგადოებისთვის რეგულაციების გაზიარების მიზნით სკოლაში შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები. კერძოდ, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს. შინაგანაწესი, მატერიალური სახით, თვალსაჩინოდაა გამოკრული სკოლის პირველ სართულზე, ასევე ატვირთულია სკოლის ბლოგზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

3. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსწავლეთა მშობლებთან/მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. ექსპერტების მიერ გადმოწმდა არსებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები, ასევე ახალი ხელშეკრულებების ფორმები და დადგინდა, რომ ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება".**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის შინაგანაწესი;
სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;
მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 30.08 N2-61 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას. დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაცია განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ვებგვერდსა და ინტერნეტ სივრცეში. სკოლაში მოსწავლის მიღების, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა თუ აღდგენის პროცესებთან დაკავშირებით, განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელ პირი. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის აწყობს ღია კარის დღეს, რომლის საშუალებითაც წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. ჩარიცხვისა და შემდგომ გასავლელი ეტაპების თაობაზე სკოლა იცავს ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლის მიერ შინაგანაწესით გაწერილი რეგულაციების მიხედვით სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის წესებს. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რითაც დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა განხორციელდა ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანება ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის" 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს.
ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა დაიცვას მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის შიდა პოლიტიკა და და ინფორმაცია მოსალოდნელი ქცევის შესახებ საჯაროდ არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის კერძოდ, მე-5 კლასში სკოლა მე-2 უცხოურ ენად სთავაზობს 2 ენას (რუსული,გერმანული). სასწავლო წლის ბოლოს მე-4 კლასის დამრიგებელი იწვევს მშობელთა კრებას და ატარებს გამოკითხვას, მშობლებს აქვთ უფლება გამოხატონ თავიანთი ნება, რომელ უცხოურ ენას ანიჭებენ უპირატესობას. ამ შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება, რომელი მეორე უცხო ენა ისწავლება მე-5 კლასში. ფორმდება შესაბამისი ოქმი, რომლის მიხედვით იწერება ბრძანება. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას ქვეპროგრამის ფარგლებში, რომელიც დროულად და ხარისხიანად სრულდება ცამეტი მიმართულებით. მოსწავლეთა ინიციატივებისა და თვითმართველობის მხარდაჭერით სკოლაში შექმნილია სხვა და სხვა საგნობრივი მიმართულების კლუბები: ეკოკლუბი, გეოკლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, მუსიკის ჰანგები, მკითხველთა კლუბი, ევრო ინტეგრაციის კლუბი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ გაწევრიანება სპეციალური განაცხადის ფორმის შევსების საფუძველზე, რომელიც განთავსებულია სკოლის ბლოგზე და სოციალურ ქსელში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას აცნობენ მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დაწყების წინ, დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც ვალდებულები არიან გააცნონ მათ ასევე სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტაუციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია.
შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია დოკუმენტი განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, რაც დადასტურდა ვიზიტის პერიოდში ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის დროს. შინაგანასესი გამოკრული იყო სკოლის შესასვლელ სივრცეში. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია სასკოლო საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას სკოლის პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ. სკოლაში მოქმედ ყველა პროგრამასთან და საგნობრივ კლუბთან დაკავშირებით ინფორმაცია გაზიარებულია სოციალურ ქსელში. ინფორმაციის გავრცელებაზე ვალდებულებას იღებს სკოლის სხვადასხვა რგოლი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. სკოლა და მისი პერსონალი ხელმძღვანელობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებით, შესაბამისად ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ამ ინფორმაციის კანონონიერებაზე, გამჭვირვალობასა და სანდოობაზე პასუხისმგებლობას სრულად იღებს დირექცია. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;

სასკოლო- კურიკულუმის პროექტი 2023-2024;
სოციალური ქსელები;
წიგნების თარო;
ქალი მხატვრობაში;
მობილობა ESCHOOLმოსწავლის ამორიცხვა;
საფეხურის დაძლევა;
მოსწავლის ჩარიცხვა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექტორის 02.11.2022 წლის N2-70 ბრძანებით დამტკიცებულია სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლაში პირველკლასელთა ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი, განსაზღვრულია ჯგუფის წევრები და მათი ფუნქციები, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის ფორმა და სკოლაში ტრანზიციისათვის ბავშვის და ოჯახის საჭიროებათა განსაზღვრის ფორმა. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლაში ყველა კლასში არის ასაკის შესაბამისი ინვენტარი. სკოლის გარემოსთან ადაპტაციის პროცესში სხვა სკოლიდან ახალგადმოსული მოსწავლისათვის, ჩართულია კლასის დამრიგებელი, რომელიც ახალ მოსწავლეს აცნობს სასკოლო გარემოს, აწვდის ინფორმაციას ამ გარემოში სხვადასხვა სივრცის შესახებ, აცნობს შინაგანაწესს და ესაუბრება მის ფუნქცია-მოვალეობებსა და უფლებებზე. სასწავლო გარემოსთან შეგუების პროცესში დამრიგებელთან ერთად ერთვებიან თანაკლასელები (ამაზე წინასწარ მუშაობს მათთან დამრიგებელი), პირველკლასელები კი ყველა ერთად ეცნობა სასკოლო სივრცეს. სკოლას ჰყავს ერთი სპეცპედაგოგი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთვება და უადვილებს სსსმ მოსწავლეს ადაპტაციის პროცესს. თავად სკოლის შენობაც არის ადაპტირებული, მოწყობილია პანდუსი. სკოლაში არის რესურსოთახი. ადაპტაციის პროცესში სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა საგნის ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ზეპირი კომუნიკაციის ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. მასწავლებლები აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას და მზაობას გამოთქვამენ მომავალშიც რეგულარულად გასცენ განმავითარებელი უკუკავშირები, რაც მათ მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევაში და პროგრესის დანახვაში უკეთ დაეხმარება. სკოლაში მხარდაჭერილია მოსწავლეთა მონაწილეობა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში. შექმნილია ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად მოსწავლეთა ჯგუფთან ჩასატარებელი გაკვეთილების პროგრამა რომლის მიზანია მოსწავლეების დაინტერესება და მოტივაცის ამაღლება ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში აქტიური და წარმატებული მონაწილეობისათვის. სამიზნე ჯგუფია მე-10 მე-11 კლასის ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველი მოსწავლეები. კვირაში ტარდება 3 მეცადინეობა გაკვეთილების შემდეგ, ან შაბათ-კვირას წინასწარ შერჩეულ დროში. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ქოუჩინგის პროგრამა, რომლის მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარი უკეთესი შედეგის მისაღწევად. პროგრამაში ჩართული არიან მე-6 კლასის მოსწავლეები. ქოუჩინგის შეხვედრები ტარდება ორ კვირაში ერთხელ და გრძელდება 15 წთ. ქოუჩინგის მიმდინარეობის პერიოდში ხორციელდება დაკვირვება, შუალედური მონიტორინგი: 1.პედაგოგების გამოკითხვა 2.მშობლების გამოკითხვა 3.მოსწავლეების გამოკითხვა. ამ პროცესის მიზანია მონაცემების გაანალიზება და დასკვნების გამოტანა, პრობლემის მოსაგვარებლად ახალი გზების ძიება. ქოუჩინგის საბოლოო მიზანია მოსწავლეებს აუმაღლდეთ თვითშეფასება, უფრო მეტად სჯეროდეთ საკუთარი თავის, ჩამოყალიბდნენ თვითდაჯერებული ოპტიმისტ ადამიანებად, გახდნენ წარმატებული ადამიანები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ სკოლა გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს მოსწავლეს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლა ახორციელებს შინ სწავლების მომსახურებას, რომელიც განსაზღვრული აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმაში. დროულად ხდება რეაგირება ყველა განცხადებაზე. მოსწავლეთა მობილობისა და ვადების შესახებ ინფორმაცია ზიარდება სოციალურ ქსელში, სასკოლო საზოგადოების მეტად ინფორმირებულობისთვის. სკოლის ადმინისტრაციაში შემოსულ განცხადებას/საჩივარს სკოლის ადმინისტრაცია განიხილავს და იძლევა უკუკავშირს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. მოთხოვნის შესაბამისად სკოლა ატარებს სემესტრულ გამოცდებს, მოსწავლეთა კონსულტაცია მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე სკოლაში ინერგება პროექტებით სწავლება, რომელიც ასევე მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. სკოლის მანდატურის სამსახურის მხრიდან, მასწავლებლების ჩართულობით ვლინდება მოსწავლისათვის ფსიქოლოგის დახმარების საჭიროება და ამ მოსწავლის რეფერირება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

5. სკოლის დირექტორის 2023 წლის 30.08 N2-62 ბრძანებით დამტკიცებულია საჩხერის მუნიციპალიტეტის კორბოულის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი. მოსწავლეთა ინიციატივების გაჟღერება ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავჯდომარის მიერ სამეურვეო საბჭოსთან ან დირექციასთან. დოკუმენტს თან ერთვის სკოლის სამოქმედო გეგმით განსახორციელებული აქტივობების გეგმა, რომლის ერთი პუნქტი ითვალისწინებს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში მოსწავლეთა ინიციატივების გათვალისწინებას. ასევე გათვალისწინებულია სკოლის მიერ გამოცხადებული შიდა კონკურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებისთვის/მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენა დირექციის ან სამეურვეო საბჭოსთვის. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ბევრი პროექტია განხორციელებული. ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი: ეკო კლუბი, გეო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, მუსიკის ჰანგები, მკითხველთა კლუბი, ევრო ინტეგრაციის კლუბი. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტი „წიგნების თარო“, რომლის მიზანი იყო ინტელექტუალური თამაშების დაგეგმვის, ჩატარებისა და განხორციელების იდეის პოპულარიზაცია სკოლაში. ასევე განხორციელებულია პროექტი „ქალი მხატვრობაში“, თვითმმართველობის წევრებმა დაგეგმეს შეხვედრები მოსწავლებთან, პოპულარიზაცია გაუწიეს ქალი მხატვრების შემოქმედებას, მოამზადეს თემები, შეასრულეს პრაქტიკული სამუშაოები და მოაწყვეს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. სკოლამ 2022-2023 სასწავლო წელს საშუალო საფეხურის მოსწავლეებს არჩევით საგნად შესთავაზა მეწარმეობის საფუძვლები. პარალელურად სკოლაში ჩამოყალიბდა მოსწავლეთა კომპანია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ,,ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო’’-ს მიერ ორგანიზებულ სამეწარმეო განათლების ფესტივალში 2023, სადაც გადაეცათ სიგელები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

6. რადგან სკოლაში არაფორმალური აქტივობებისადმი ინტერესი დიდია, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების და მშობლების აზრს მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ სასკოლო პროექტის თემის შერჩევის პროცესში ჩართო სასკოლო საზოგადოება და Forms-ის კითხვარის გამოყენებით პრიორიტეტული თემებიდან უპირატესობა მიანიჭეს ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი, როგორც პიროვნული ღირებულება და დამოკიდებულებას“. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებებ

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საჩხერის მუნიციპალიტეტის კორბოულის N 2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებითსკოლას კარგი გამოცდილება აქვს. მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის მხარდასაჭერად წლების განმავლობაში განხორციელებული აქვს ბევრი ფორმალური და არაფორმალური ხასიათის ღონისძიება, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებში იმის გაცნობიერებაზე, თუ როგორ გამოიყენებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას მომავალი ცხოვრების დასაგეგმად. სკოლაში 2017-2019 სასწავლო წლებში ტარდებოდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები. ამ გაკვეთილების ფარგლებში მოსწავლეები ხვდებოდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, სასწავლო ვიზიტით სტუმრობდნენ პროფესიულ სასწავლებლებს და და სხვა ინსტიტუციებს. 2019 წლის ოქტომბრიდან სკოლა თანამშრომლობს კოლეჯ "იბერიასთან". მათ შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომლის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის" პროფესიული უნარების კურსი "ელექტროობა" ტარდებოდა, ხოლო 2023 წლის აპრილიდან მოსწავლეები ეუფლებიან გრაფიკული დიზაინის კურსს. სკოლაში მოწყობილია და სათანადო ინვენტარით აღჭურვილია სასწავლო ოთახები ელექტროობისა და გრაფიკული დიზაინის შესასწავლად. 2020-2021 წლებში სკოლაში გრძელდება პროექტი „შეფასება განვითარებისათვის", რომელიც ხორციელდება 2020 წლის სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფარგლებში, განათლების კოალიციის მხარდაჭერით, კონკურსის გენერალური სპონსორია გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი. ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა სოფლის მეურნეობის მიმართულების პროექტი „მცირე მექანიზაციისა და აგრეგატების შესწავლა". არაფორმალური სწავლების ფარგლებში ამ წლების განმავლობაში განხორციელდა არაერთი სასწავლო-შემეცნებითი პროექტი:სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლის, ირმა სისვაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა ონლაინ პრეზენტაცია თემაზე: "განათლებული საზოგადოება -განვითარებული სახელმწიფო". პრეზენტაცია გაიმართა სკოლის კურსდამთავრებულთა მონაწილეობით. სკოლაში ხორციელდება შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის წამომადგენლებთან. სამოქალაქო განათლების კურიკულუმში ჩაშენებულია თემები პროფორიენტაციის მიმართულებით.**ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება".**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კლასის დამრიგებლის სამუშაო პროგრამით დასტურდება, რომ კლასის დამრიგებელი მუდმივად აწვდის მოსწავლეებს და მათ მშობლებს ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მათ გეგმაში გაწერილია მომავალი პროფესია (კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიულ ორიენტაციის მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება), რჩევები და შეხვედრები სასწავლო წლის მანძილზე. სკოლაში ახალი კურსის ,,გრაფიკული დიზაინის“ დანერგვასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორის ინიციატივით შედგა შეხვედრა მე-10-11 კლასის მშობლებთან. შეხვედრაზე მშობლებს მიაწოდეს ინფორმაცია პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლა უზრუნველყოფს პერიოდულად სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებთან მოსწავლეების, მშობლების/კანონიერ წარმომადგენლების შეხვედრას, როგორც პირისპირ ასევე ონლინ რეჟიმში. სკოლა, მოსწავლეებთან სასაუბროდ, პერიოდულად იწვევს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

3. სკოლა კარიერული წინსვლის და პროფესიული ორიენტაციისათვის მუდმივად ზრუნავს. პრაქტიკაში დანერგილია შეხვედრები კურსდამთავრებულებთან, რომლებიც უკვე წარმატებული არიან საქმიანობაში, ან წარმატებით აგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა შემდგომში გეგმავს შეთავაზებული მომსახურეობის შესახებ გამოკითხვის ჩატარებას FORMS -ის საშუალებით და SWOT ანალიზის გაკეთებას, თუ რომელი პროფესიაა მათთვის სასურველი და მოთხოვნადი. სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით, განსაზღვრულია სკოლის მიერ გაწეული მომსახურების შეფასების მონიტორინგის ფორმები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
სკოლის მიერ განხორციელებული პროფესიული ორიენტაციის აქტივობები;
მემორანდუმი კოლეჯ "იბერიასთან";
მემორანდუმი ა(ა)იპ კოალიციის განათლება ყველასთვის;
XI კლასის სადამრიგებლო საათის გეგმა;
ადგილზე დათვალიერებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასქმებულია ერთი სპეციალური მასწავლებელი, შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე და აქვს მუშაობის წარმატებული გამოცდილება. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. არსებული დოკუმენტაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ ისგ გუნდის მუშაობაში ჩართულია სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული პედაგოგი, მშობელი და სპეციალისტი. მხარდაჭერის პროცესში გათვალისწინებულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინტერესები და პრიორიტეტები. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე რეკომენდაციები მშობლებისთვის, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ეფექტური ჩართულობისთვის, რეკომენდაციები საგნის მასწავლებლებისთვის (წერის, კითხვის, თხრობის, ანგარიშის) განვითარების ხელშეწყობის მიზნით. შემუშავებულია მოსწავლისთვის ინტერვენციის გეგემები, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი, მოსწავლის სწავლა-სწავლების ხელშემწყობი აკომოდაციები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ასევე გასული წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. სასკოლო საზოგადოების მიმღებლობის ზრდის ხელშეწყობისთვის სკოლის თანამშრომლები (დამრიგებელი, მასწავლებლები, სპეცმასწავლებელი) დროულ და ამომწურავ ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეებს და მშობლებს. ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში მუდმივად ტარდება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საინფორმაციო შეხვედრები, სახელწოდებით „მეგობრები არ ითვლიან

ქრომოსომებს“, სკოლის დერეფანში გამოკრული იყო მსგავსი შეხვედრების ამსახველი ინფორმაციები და ფოტოები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, მომავალშიც წარმატებით განახორციელოს სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ისგ-ს სხდომის ოქმები;

სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;

სკოლის ინკლუზიური განვითარების სამოქმედო გეგმა;

შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება ხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა „საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება“ ფარგლებში. ყოველწლიურად ან ყოველი სემესტრის ბოლოს სკოლა მშობელთა განცხადებების საფუძველზე საჭიროებისა და ყველა კრიტერიუმების გათვალისწინებით ამატებს ან აუქმებს სამარშრუტო მიმართულებას. ამჟამად სასკოლო ტრანსპორტს მოსწავლეები გადაჰყავს 13 მიმართულებით. სკოლაში ხელმისაწვდომია კვების ობიექტი, რომლისთვისაც იჯარითაა გაცემული ფართი. სასადილო სივრცე კეთილმოწყობილია და აღჭურვილია საჭირო და შესაბამისი ინვენტარით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
2. სატრანსპორტო მომსახურებით სარგებლობენ ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლიდან მოშორებით (მეზობელ სოფელში) ცხოვრობენ. აღნიშნული მომსახურება ნებაყოფლობითია მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
3. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ბრძანებით გამოყოფილ პირს ევალება სატრანსპორტო მომსახურების ყოველდღიური მონიტორინგი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში;
ტაბელის ფორმა;
ფოტო მასალა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი** 2.1 | ■ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კურიკულუმის შემუშავება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებელთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. გათვალისწინებულია მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლის თვითშეფასების კითხვარში კი ვკითხულობთ ,,დაიგეგმოს ინტეგრირებული გაკვეთილები, ერთობლივი ღონისძიებები და პროექტები. გავზარდოთ კომპლექსური დავალებების რაოდენობა. მეტად გააქტიურდეს ციფრული ტექნოლოგიების როლი. საჭიროდ მიგვაჩნია, დაიხვეწოს მონიტორინგის მექანიზმი, რაც აისახება 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში". ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა საჭიროებებსა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება კონკრეტული გამოცდილების, ინეტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად, რომელიც თავად არის საკუთარი ცოდნის მწარმოებელი და სწავლის პროცესის წარმმართველი. სიღრმისეული სწვალის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

## 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია. პასუხისმგებლობა გადანაწილებულია საგნობრივ კათედრის წევრებსა და დირექციაზე; სადამრიგებლო პროგრამებში ასახულია სასკოლო პროექტის შესაბამისი თემები, რომლებიც მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. **მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით კურიკულუმების შემუშავების პროცესშია გასათვალისწინებელი მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები. კერძოდ, მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით.** დაწყებით საფეხურის მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კონკურსებსა თუ გამოფენებში,(კალიგრაფიის კონკურსი, გამოფენების მოწყობა, კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიება.) სკოლის დაწყებით საფეხურზე შექმნილ, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტში გათვალისწინებული საგნობრივი დავალებები, შეფასებისა და უკუკავშირის ფორმები, ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, აიგება მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და ეფუძნება მათ ცოდნას, ინტერესების სფეროს, გამოცდილებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

## 3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო გეგმაში, პედ.საბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით

ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. გრიფირების პროცესის გათვალისწინებით, მოთხოვნის შესაბამისად, I-II კლასებისთვის წარმოადგინეს კურიკულუმები ერთი თემის ფარგლებში და გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით მოამზადებენ სრულყოფილ კურიკულუმს. კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები კლასის მშობელთა კრებაზე აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს დამტკიცებულ კურიკულუმებს; ასევე, სკოლა იყენებს თიმსის პროგრამას და სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები უზიარებენ მშობლებს დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებს, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს. შემდეგ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმებში.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის გამოიყენება მშობლის ბარათები და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები:

- ✓ სკოლის ვებგვერდი
- ✓ ელექტრონული ფოსტა
- ✓ დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა
- ✓ პორტალი ვებგვერდზე

- ✓ სოციალური მედია
- ✓ ბეჭდვითი მასალები

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის □აგნობრივი კურიკულუმი
- კათედრის სხდომის ოქმები
- კლასის დამრიგებლის წლიური ანგარიში
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- თვითშეფასების ფორმა
- https://sacxerekorbouli.blogspot.com/

**1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

კურიკულუმები შედგენილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას მთავარი სუბიექტია მოსწავლე. შესაბამისად, თემატური კონტექსტები მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებს, გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი წარიმართოს ისე, რომ ხელს უწყობდეს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ საგანთა სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უწყობდეს მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალურ განვითარებას, საბაზო უნარებზე დაყრდნობით. მათემატიკის კათედრის პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ძირითადად იყენებენ სანიმუშო მატრიცებს math.ge-დან, ამ მატრიცის ბოლოში კი ინტეგრირებულია ე. წ. პოლიას მეთოდით შემუშავებული კითხვები, რომლიც ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა. შ. ეს კი მიუთითებს, რომ კათედრის წევრები იყენებენ მეტაკოგნაციის განვითარების სტრატეგიებს.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის **დაწყებითი საფეხურის** წლიური კურიკულუმები დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი. I-VI კლასებში ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომპლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.

პედაგოგთა მიერ ძირითადად გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის.სკოლის მხრიდან ჩანს მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად.

**რჩევა: მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში დაამატონ რესურსები, მიუხედავად იმისა თემაში ახორციელებენ თუ არა კომპლექსურ დავალებებს.**

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,, შესაბამისი“.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. გასაუბრებისას წარმოადგინეს სპეც.მასწავლებელთან ერთად შემუშავებული ინდ.გეგმა. ასევე ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ: ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები. საერთო ჯამში კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოედგენილი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ცალკეულ შემთხვევაში, აქვთ შექმნილი კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიები. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, შესაძლებლობებს, ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოკვეთეს შეფასების ძირითადი ამოცანები და ისაუბრეს ასევე განმავითარებელი შეფასების ისეთ საშუალებებზე, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ. ზოგიერთ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნლი ნიმუშები. მაგ.: სახელმწიფო ენის კათედრა.

**რჩევა: გამოიყენონ ქოუჩინგის პერიოდში გაზიარებული კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (მე-5 კლასის II სემესტრისა და მე-6 კლასისათვის)**

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რადგანაც დაგეგმვისას მნიშვნელოვანია სასაწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება, მოსწავლეთა მიერ ესგ-ით განსაზღვრული შედეგების დაძლევა. გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის, როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები, რომელსაც კათედრა განიხილავს და აჯამებს სხდომაზე. წლის ბოლოს კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება თითოეული მასწავლებლის საქმიანობის ანალიზის წარმოდგენა, რის საფუძველზეც იქმნება კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში მომდევნო სასწავლო წლისთვის მასწავლებლები მიზნის მისაღწევად სახავენ ახალ გზებს და გეგმავენ ახალ აქტივობებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნეს, რამდენიმე კომპლექსური დავალება, აქტივობები და მეთოდები, რომლებმაც კარგად იმუშავა გასულ სასწავლო წელს შეიტანენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის დაგეგმვა ხდება წინა წლის გამოცდილების საფუძველზე. მის ფარგლებში ხდება:

- საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეება წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა)
- საკითხების განსაზღვრა, რომლებიც ისწავლება სხვა საგნის საკითხებთან ინტეგრირებით.
- იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით).
- აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა წელს შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის სასკოლო პროექტები;
- სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიო;
- ინდ. გეგმის ნიმუში
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა;

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ისგ-ს სხდომის ოქმი N1;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებების მაგალითები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპლექსური დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებების ბარათები
- ურიკულუმის შემუშავებსი მეთოდოლოგია

- კათედრის სხდომის ოქმები
- კლასის დამრიგებლის წლიური ანგარიში
- კომპლექსური დავალებები
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის დასკვნა
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაცია
- ისგ-ს სხდომის ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

**1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებელებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება

მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლეებს შესთავაზებენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. მოსწავლეთა ინტერესებზე და ჩართულობაზე ისაუბრა მუსიკის პედაგოგმა და განსაკუთრებით გამოყო მე-5 კლასის დავალება ‘’მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები“, ასევე მე-6 კლასის კომპლექსურ დავალება ,,მუსიკით ადამიანის პორტრეტების აღწერა“. აღნიშნა, რომ მოსწავლეებისათვის აღნიშნული კომპლექსური დავალებები იყო საინტერესო, სახალისო. ისინი აქტიურად ერთვებოდნენ საეტაპო აქტივობებში და აკავშირებდნენ მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან.

მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ხელს უწყობს განხორციელებული პროექტები, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის პედაგოგმა ისაუბრა დაწყებით საფეხურზე განხორციელებულ ერთერთ პროექტზე -,,მე ვხატავ ფიროსმანს“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია ფიროსმანის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ, შექმნეს ნახატების ესკიზები, გააკეთეს პრეზენტაცია, ნახეს ფილმი და მოაწყეს დისკუსია. ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მოსწავლეები ჩართული არიან აქტიურ შემოქმედებით პროცესში. ასევე გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნისთვის. აგრეთვე, სასკოლო პროექტებში, კონფერენციების დაგეგმვა-ჩატარებისას. ამას მოწმობს სკოლაში წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული ციფრული ნამუშევრები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიო, სხვადასხვა ციფრული აქტივობის ამსახველი მასალები. აღსანიშნავია ასევე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები სათამაშო სახეობების ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები, ლაშქრობა) და თეორიული (ჯანსაღი კვება, ჰიგიენა, მავნე ჩვევები) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ამდაგვარდ შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი

ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. **მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს. სასურველია, დაწყებით საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება,** რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

წარმოდგენილი კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დაფარულია ყველა სამიზნე ცნება -I-VI კლასებში სარეკომენდაციო თემების შიგნით, მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. **მაგ.:** ინტერვიუს დროს მუსიკის პედაგოგის მიერ აღწერილი კომპლექსური დავალება თემაზე „მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ ,რომელიც აგებულია კომპიუტერისა და მობილური ტელეფონის ხმებზე, მოსწავლეს აძლევს ცოდნის ტრანსფერის საშუალებას, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან აკავშირებს და ეხმარება ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში. საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, „გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ისევ შეჩერდენ გავლილი მასალის განსამტკიცებელი სამუშაოების წარმოებაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლა- სწავლების პროცესის უზრუნველყოფის მისაღწევად პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა სახის საწვლა-სწავლების სტრატეგიებს და მიდგომებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და ინტერაქტიული სწავლების მიდგომები. **მაგ.:** საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის საუკეთესო პრაქტიკაა ცდებისა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება, რომლითაც მოსწავლეს საშუალება ეძლევა თავად გახდეს პროცესის წარმმართველი, დააკვირდეს და გაანალიზოს ცდის შედეგები. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, გააჩნია ამ საგნის შესწავლისათვის სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და ინვენტარი. პირველი-მეოთხე კლასის პედაგოგები ახერხებენ ისეთი ცდების ჩატარებას, რომელშიც მოსწავლეები თავად არიან ჩართული. ეს კი მოსწავლეებში ხელს უწყობს შინაგანი მოტივაციის ზრდას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

### 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

კომპლექსური დავალების პირობის გააზრება თავისთავად ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე . კერძოდ, საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში კარგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ფაქტობრივ მასალას, სხვადასხვა წყაროებს, ინფორმაციას და იგროვებს ფაქტობრივ ანუ დეკლარატიულ ცოდნას. ამის შემდეგ ის იწყებს აზროვნებას როგორ შეასრულოს კომპლექსური დავალება, რა ნაბიჯები დაისახოს, როგორი თანმიმდევრობით და გამოიმუშავოს დავალების შესასრულებლად საჭირო უნარები, რაც პროცედურული ცოდნის კლასიკური გამოვლინებაა. ამის შემდეგ კი იწყება პირობისეული ცოდნის გააქტიურება, როდესაც მოსწავლე იწყებს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით, სტრატეგიების მოქმდებაში გადატანას, რესურსების მოძიებას, ინფორმაციის დამუშავებასა და გამოსავალის ძებნას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ჩანს კომპლექსური დავალებების პირობის შექმნასა და განხორციელებაში.

სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების ჩატარების პრაქტიკა. ვიზიტის პერიოდში რამდენიმე კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები და მოსწავლეთა პროდუქტები იყო წარმოდგენილი. მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას, ამიტომაც ისინი შემაჯამებელ ტესტს აგებენ ისე რომ მოხდეს ფაქტობრივი ცოდნის გახსენება რაც ძირითადად ტერმინოლოგიის გახსენებას, ინფორმაციის მიზნობრივ დასახელებას გულისხმობს ასევე ფორმულის ჩაწერა, წესის გახსენება, ხოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურული ცოდნისათვის მის გამოყენებაზე კეთდება ყურადღება მაგ; როგორ ახდენს მოსწავლე გამოსახულების გამარტივებას, რა კანონზომიერებებს ამჩნევს საკითხებს შორის, ამის შემდგომ კი ხდება საკითხის ტრანსფერის უნარით სხვადასხვა სამეცნიერო დარგში გამოყენების უნარების განვითარება. მასწავლებელთა პორტფოლიოებში ასახული მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებებიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესიააქტიურებს სამივე სახის ცოდნას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,, შესაბამისი“.**

## 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

კომპლექსური დავალებები რომელიც ასახულია კურიკულუმში ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. **მაგ.:** მუსიკის პედაგოგმა ისაუბრა მე-5 კლასის კომპლექსური დავალების ,,თანამედროვე ტექნოლოგიებში მუსიკით ემოციის გადმოცემა“ -ერთერთ აქტივობაზე, რომელიც კონცერტზე ქცევის წესების სწავლებას გულისხმობდა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგმა ისაუბრა ისტ-თან ერთად ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილებზე და აღნიშნა, რომ მოსწავლეებმა შეძლეს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამავდროულად მასწავლებლებს აქვთ მზაობა, განახორციელონ პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები. სადამრიგებლო საათზე განხორციელებული აქტივობებით, კი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების მაგალითები;
- სკოლის ბლოგი
- კათედრის სხდომის ოქმები
- კომპლექსური დავალებები/რეფლექსიები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

დოკუმენტების ანალიზითა და გასაუბრებით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის

მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ესთეტიკის კათედრას მიეცა *რჩევა: კურიკულუმის ჩარჩოებში ამ ეტაპზე ქვესაკითხები არ არის საჭირო და ასევე მაგალითები შედარებისათვის.*
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

### 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სწავლა რეალურად არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო - ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა თუ როგორ წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ მოსწავლეს განუვითარდეს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები და მოსწავლემ სწავლა- სწავლების პროცესში შეიძინოს როგორც თეორიული ცოდნა ასევე პრაქტიკული გამოცდილება და შეძლოს მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა , რომ ისინი ხშირად მიმართავენ განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლის დროსაც მოსწავლეებს უყალიბდებათ ადეკვატური თვითშეფასება და შეუძლიათ დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითრებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადსხვა სოციალური პროექტი.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

### 3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

სკოლა ძირითადად იყენებს მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას. ეს უფრო ხშირად არის მასწავლებლების მიერ გაკვეთილზე გაკეთებული განმავითარებელი კომენტარი. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, ზეპირი კომენტარი მეტად ეფექტიანია მაშინ როცა მას აქვს აღწერითი

ხასიათი, თუმცა შეფასებითი კომენტარებიც არის მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალება. კომპლექსური დავალებით მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონიმიის შესაბამისად და მასწავლებელი ხედავს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს ასევე განმავითარებელ რეკომენდაციებს. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. თუმცა სახელმწიფო ენის კათედრამ აღნიშნა, რომ *I-IV* კლასებში წარმადგენილ რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; მასწავლებლებს აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლისათვის უფრო მეტად დახვეწონ რუბრიკები და შეფასება გახადონ მეტად ჰოლისტური.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური - რასაც ადასტურებს გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.

*რჩევა: სწავლის დაწყებამდე განისაზღვროს/დაზუსტდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში (მე-5 კლასის II სემესტრისა და მე-6 კლასისათვის)*

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომლის მიხედვით განახორციელებს ვერიფიკაციას სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე და სამართლიანი. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები–ზუსტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლებთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტომასალა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა
- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- კომპლექსური დავალებების მაგალითები;
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- ხარისხის მართვის მექანიზმები

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე.მაგ.: ინტერვიუს დროს ხელოვნების პედაგოგმა აღნიშნა რამდენიმე გაკვეთილი სხვა საგანთან ერთად დაგეგმა და განახორციელა. სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, გამოფენები, ხორციელდება ერთობლივი პროექტები, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები თანამშრომლობენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან და ხელს უწყობენ მათ სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი: სამოქალაქო კლუბი, ლიტერატურული კლუბი, კლუბი-მუსიკის ჰანგები, გეოგრაფიის კლუბი და სხვა. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე, შექმნილია მხარდამჭერი გარემო. რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მიმდინარე კურიკულუმების მთავარი ორიენტირია მოსწავლის ინტერესები, არჩევითი დავალებების შეთავაზება, მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის პრინციპების გათვალისწინება. სკოლა მოსწავლეთა სხვადასხვა მიმართულებით ინტერესების გამოსავლენად იყენებს კითხვარებს და მათზე დაფუძნებით ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება. აგრეთვე პრაქტიკაში დანერგილია მშობლების კითხვარები და არჩევითი საგნების შეთავაზებისას მშობელთა წერილობითი აზრის გათვალისწინება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე მიუთითებს ჯგუფებში შესრულებული დავალებები, აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები რომლებიც უვითარებთ მათ კოლაბორაციულ უნარებს და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განცდას. თანამშრომლობითი კულტურის ამაღლების მიზნით იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები, ექსკურსიები, რომელსაც ერთობლივად **გეგმავენ. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, შექმნილ რესურსებს უზიარებენ სკოლის კოლეგებს, ასევე სოციალურ ქსელებში** მასწავლებელთა ჯგუფებს. სკოლაში ტარდება სამუშაო შეხვედრები, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებზე, კონფერენციებზე ინტერნეტ სივრცეში, საგანმანათლებლო პერიოდულ გამოცემებში მოპოვებულ ინფორმაციასა და ინოვაციებს. კათედრის წევრებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, რაც დასტურდება კურიკულუმის ჩარჩოს შექნის პროცესში პედაგოგთა თანამშრომლობით. სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, ურთიერთდასწრებებსა და უკუკავშირის გაცემა-მიღებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

კათედრების წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოა. რაც შეეხება ფიზიკურ გარემოს, საკლასო ოთახები იძლევა საშუალებას ავეჯი განლაგდეს აქტივობების შესაბამისად რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის ეფექტურობა და მოსწავლეების აქტივობებში ჩართვის მოტივაცია. გარემოს შექმნაში მოსწავლეები თავად არიან ჩართულნი და აქვთ ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში ქცევის წესები, ხოლო საკლასო სივრცეებში განთავსებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებულია კლასში ქცევის წესები.

სკოლაში სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებისა და წარმართვის მიზნით, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა სადამრიგებლო პროგრამა. სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს .დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით:

-  საუბრები მოსწავლეებთან;
-  დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;
-  ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება;
-  ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა;
-  მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ.

სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები.
- სასკოლო კურიკულუმის პროექტი 2023-2024 წელი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის).
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

მონიტორინგი და შეფასება ეხმარება კათედრის წევრებს პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს: რას ვასწავლით? როგორ ვასწავლით? როგორ გამომივიდა? რა დავტოვო? რა შევცვალო? . სკოლაში ასევე არის ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას გულისხმობს. წელიწადში მინიმუმ 3 ჯერ იკრიბება და უზრუნველყოფს სკოლის მისიით განსაზღვრულ მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

დაწყებით საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ხდება ისე, რომ იგი განაპირობებს ეფექტიან ანგარიშვალდებულებას და წაახალისებს ლიდერობას. ეს კი წინაპირობას ქმნის სამუშაო პროცესის გაუმჯობესებისთვის სწორად გაწერონ სკოლის სამომავლო გეგმები. მომავალი წლიდან იგეგმება ურთიერთდასწრების პრაქტიკის კიდევ უფრო გააქტიურება. კათედრის წევრების მიერ გაზიარებული ურთიერთდასწრების პრაქტიკა იმის მაგალითია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერაა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივ შეგროვებას.საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. სკოლას გაზრებული აქვს , რომ სწორედ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული შედეგი განსაზღვრავს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და იძლევა შესაძლებლობას მოიძებნოს მისი გადაჭრის გზა და საშუალება.

**რჩევა: შეიქმნას და დაიხვეწოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში.
- კათედრის ოქმები.
- ხარისხის მართვის მექანიზმები-დოკუმენტი.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. მათი ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. შეფასების სისტემა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ეტაპზე იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომელთაც აქვთ ჰოლისტური ხასიათი, თუმცა ფიქრობენ, რომ ამ მხრივ პრაქტიკას დახვეწენ და გააუმჯობესებენ ახალი კურიკულუმის დანერგვის პარალელურად. ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო მექანიზმის შემუშავებას და ანალიტიკური რუბრიკების უფრო ხშირად გამოყენებას რათა განმავითარებელი შეფასების დანერგვას შეუწყონ ხელი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოსწავლის შედეგებზე. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან იღებენ შესაბამის ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას. შესაბამისად, მრავალფეროვანი აქტივობები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ინტერვიუზე დაყრდნობით, მასწავლებლებს ესმით, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. **მაგ.:** სახელმწიფო ენის კათედრა მოსწავლეებს თავაზობს კომპლექსური დავალების შესრულების ხერხს და შემუშავებული აქვს შესაბამისი შეფასების რუბრიკები. პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის,როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის ძირითადად იყენებენ განმავითარებელ შეფასებებს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, უკუკავშირს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. კათედრების დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და ა.შ. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას „საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი სკოლის საჭიროებებზე.

სკოლას, წლების განმავლობაში თანამშრომლობა აქვს თბილისის ილიაუნის უნივერსიტეტთან, სტუდენტებთან ერთად აწარმოებენ კვლევას, კვლევის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ტესტირება სხვადასხვა ფორმით, გაკეთდა ანალიზი და დაიგეგმა ინტერვენციები.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტი ფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. სკოლისთვის გამოწვევაა გამოვლინდეს სხვადასხვა ჭრილში მოსწავლის ინტელექტი, მეტად ჩაუღრმავდეს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას და გათვალისწინებული იქნეს შეფასების პროცესში, ამიტომ ცდილობენ გააუმჯობესონ ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- დანართი 80- მემორანდუმი ა(ა)იპ კოალიციის განათლება ყველასთვის.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებისას ხელმძღვანელობენ წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული რეკომენდაციებით. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. სისტემატურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, გამოკვეთენ ტიპურ ხარვეზებს, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანმხლები პროცესია და დაკავშირებულია კათედრების და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კათედრებმა წინარე გამოცდილების და მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისინებით შემუშავენ და ნერგავენ კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას. პროცესს მონიტორინგს უწევს სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. წინარე გამოცდილების გათვალისწინება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა და არსებულ კურიკულუმშიც ასახულია წინა სასწავლო წლის მიგნებები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი** (საბაზო საფეხური) | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების წარმატებული მეთოდოლოგია. კათედრები, სხვადასხვა მეთოდებით ახერხებენ სკოლის ძირითადი პრიორიტეტების გაანალიზებას და წინა წლების გამოცდილებით ახალი მიზნების დასახვას სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ვინაიდან სკოლა 2019-2020 წლიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში" სასკოლო საზოგადოებას აქვს მზაობა შეიმუშავოს და დანერგოს კურიკულუმი. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საგნობრივი კათედრები, განიხილავენ პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ

საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებს. საჭიროების შემთხვევაში წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ახდენენ მის მოდიფიცირებას. 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნა ქოუჩების რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომელთა სრული სახით შემუშავება და დამტკიცება მოხდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებები შეარჩიეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ი.ს.გ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. სკოლა, რომ ცდილობს მაქსმალურად მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს კარგად გამოჩნდა უცხოური ენის კათედრის წევრებთან გასაუბრებისას. გამომდინარე იქიდან, რომ უცხოური ენის სწავლებისას მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი, რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფეხურსა თუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავიანთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აირჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები რათა მეტად მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრას კომუნიკაცია ჰქონდა სხვა კათედრების/საგნების მასწავლებლებთან რაც გამოიხატა იმაში, რომ თემების შერჩევისას გადაამოწმეს ხომ არ იყო რაიმე პრიორიტეტული თემა სხვა საგნებში, რომლის დაფარვაც სასურველი იქნებოდა უცხოური ენების შემთხვევაში, რათა კიდევ უფრო მეტად დაენახათ მოსწავლეებს საგანთაშორის კავშირი.

სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გაააქტიუროს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. წლის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები რამდენჯერმე ავსებენ კითხვარებს, რითაც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. მშობლებთან გაზიარებულია ასევე კომპლექსური დავალებების ბარათები. მასწავლებლები კი კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე მუდმივად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს. პედაგოგები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ აწარმოებენ კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმას, რაც ეხმარება მათ განსახორციელებელი ინტერვენციების დაგეგმვაში. ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება ხდება გონივრულად, თანაბრად და ეფექტურად. კომპლექსური დავალებების რაოდენობები, რომ დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმის შემუშავების მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია/დირექტორის მოადგილე, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის

შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედგეგი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების~ინტერესები**

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სასკოლო გეგმა, პედ.საბჭოსა და კათედრის ოქმები) შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას; კურიკულუმის შემუშავების პირველ ინდიკატორში განხილული მეთოდოლოგია იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. პედაგოგებმა მოიძიეს და მოამზადეს მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითები. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. კურიკულუმში, რომ ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები კარგად ჩანს ესთეტიკის კათედრის ნამუშევრებში. საბაზო საფეხურის მშობლები ჩართული არიან სასწავლო პროცესში. მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კონკურსებსა თუ გამოფენებში,(კალიგრაფიის კონკურსი, გამოფენების მოწყობა, კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიება.) სკოლის საბაზო საფეხურზე შექმნილ, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტში გათვალისწინებული აქტიობის დაგეგმისას ხდება მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, რომელიც ეფუძნება მათ ცოდნას, ინტერესების სფეროს და გამოცდილებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი მონაწილეობით. მშობელთა კრებებზე, კლასისა და კათედრის სხდომებზე განიხილება სკოლისათვის

მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შემდეგ ასახვას პოულობს სასკოლო კურიკულუმში. კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა. კათედრა ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებსა და აქტივობებს. სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებლები მშობლებს კრებაზე საგნის მასწავლებლებთან ერთად აცნობენ კურიკულუმში ასახულ დავალებებს, განიხილავენ მათ შემოთავაზებებს, ინიციატივებს და ითვალისწინებენ კურიკულუმის განხორციელების პროცესში. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის განვითარების საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

## 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტი დრაფტ-ვერსიის სახით არის წარმოდგენილი, რომელშიც გაწერილია თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯაროა სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლა იყენებს თიმსის პროგრამას და სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები უზიარებენ მშობლებს დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებს, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს. შემდეგ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში. ახალი სასწავლო წლისთვის, სკოლამ შექმნა ვებგვერდი და განაახლებს არსებული ბლოგს, სადაც განთავსდება სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიკულუმი.. ასევე გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა,პორტალი ვებგვერდზე,სოციალური მედია,ბეჭდვითი მასალები,საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კუსიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- ქიმიის - VIII და IX კურიკულუმები;
- ფიზიკის - VII, VIII და IX კლასების კურიკულუმები;
- ბიოლოგიის - VII, VIII და IX კლასების კურიკულუმები;
- სხდომის ოქმები
- კლასის დამრიგებლის წლიური ანგარიში
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასკოლო-სასწავლო გეგმა

**1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

სკოლის ***საბაზო*** *საფეხურის* საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. შემუშავებულ კურიკულუმში კომპლექსური დავალებები ეფუძნება ცოდნათა ურთიერთკავშირს და ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს. კურიკულუმები შედგენილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას მთავარი სუბიექტია მოსწავლე. შესაბამისად, თემატური კონტექსტები მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებს, გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი წარიმართოს ისე, რომ ხელს უწყობდეს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მაგ.:მ**ათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა.** სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის პროგრამა შექმნილია მათზე ორიენტირებით; გაწერილია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში.

კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მატრიცებს, რომელსაც ისინი სანიმუშოდ იყენებენ (math.ge-დან), ბოლოში ინტეგრირებული აქვთ ე.წ. პოლიას მეთოდით შემუშავებული კითხვები, რომლიც ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა.შ. პედაგოგები ამ მეთოდს იცნობენ და იყენებენ.კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალეროვანი თემები. მაგ.:სპორტის კურიკულუმში-მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ძალისმიერი ვარჯიშები, ლაშქრობა, ოლიმპიზმი. ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და წარმოაჩინოს სრულად საკუთარი თავი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ სწავლის პროცესში მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოები ყველა საგანში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი სკოლა აცხადებს მზაობას, რომ დოკუმენტის დამტკიცებამდე, ყველა კლასის ყველა საგნობრივ ჩარჩოში ასახული იქნება კომპლექსური დავალებები თავისი კონტექსტ-მაგალითებით. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო კლუბები, სასწავლო და სოციალური

პროექტები ,ინტეგრირებული გაკვეთილები (მაგ.:,,სანთელას ციხე“) ხელს უწყობს მოსწავლეების გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას. ცხადია, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური ინდივიდი თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების ადაპტირება. მაგ.:სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგმა გაიხსენა ერთერთი დავალება, რომლის მიხედვით მოსწავლეებს უნდა შეექმნათ მაკეტი ,,როგორი უნდა იყოს ჩვენი სკოლა“ . აღნიშნული მაკეტი მოსწავლეებმა შექმნეს თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ზოგიერთმა დახატა, ზოგმა ისტ-ის საშალებით წარმოადგინა, ზოგიერთმა კი პრაქტიკული ნამუშევარი შექმნა. პედაგოგმა აღნიშნა აგრეთვე, რომ კომპლექსური დავალების დაანონსებისთანავე ხდება გარკვევა, ვინ რა ფორმით წარმოადგენს საბოლოო პროდუქტს.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია დირექტორის ბრძანება, რომლის საფუძველზე შექმნილია ჯგუფი, დაწყებით საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით. დოკუმენტაციაში ასევე ვხვდებით ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ყველა საგანში, სადაც გაწერილია მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, მიღწევები, გრძელვადიანი მიზნები: რა უნდა გააცნობიეროს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, ასევე კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვარიანტი. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული ინდ. გეგმა არის დაწყებითი საფეხურის, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ ეს პროცესი, იციან რის საფუძველზე შეიძლება მოხდეს კომპლექსური დავალების მორგება კონკრეტულ მოსწავლეზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება ან მხოლოდ ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნლი ნიმუშები, თუმცაღა სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის ავტორიზაციის ეტაპამდე შემუშავებული და გამოყენებული ორივე ტიპის რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

კათედრებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ ძირითადად დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. კომპლექსური დავალებების კეთების პროცესში, კათედრაზე მასწავლებლები ინიშნავენ წარმატებით განხორციელებულ აქტივობებსა და მეთოდებს და შეაქვთ მომავალი წლის კურიკულუმში. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ დაგეგმვისას მნიშვნელოვანია სასაწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება, მოსწავლეთა მიერ ესგ-ით განსაზღვრული შედეგების დაძლევის მიზნით. გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის, როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. რომელსაც კათედრა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განიხილავს და აჯამებს სხდომაზე. წლის ბოლოს კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება თითოეული მასწავლებლის საქმიანობის ანალიზის წარმოდგენა, რის საფუძველზეც იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში მომდევნო სასწავლო წლისთვის მასწავლებლები მიზნის მისაღწევად სახავენ ახალ გზებს და გეგმავენ ახალ აქტივობებს. მაგ.: ესთეტიკის კათედრის წევრმა-სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის პედაგოგმა ისაუბრა მე-9 კლასის კომპლექსურ დავალებაზე, რომლის რევიზირებაც მოახდინა. აღნიშნა, რომ მოსწავლეებს უნდა გაეკეთებინათ გამოფენის კონცეფცია ,,ეროვნული სამოსი“, რომელიც დიდი სიამოვნებით შეასრულეს და მოაწყეს გამოფენა. სწორედ იმიტომ რომ გამოფენას ესწრებოდა სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და შესაძლებელია იგივე დავალება მომდევნო წელს ყოფილიყო მოსაწყენი, განმეორებადი პედაგოგმა შეცვალა კურიკულუმი და ეროვნული სამოსის ნაცვლად კურიკულუმში, კომპლექსურ დავალებად მიუთითა თეატრალური სამოსი. ასევე ისაუბრა მე-8 კლასის კომპლექსურ დავალებაზე და აღნიშნა, რომ ესე კარგად შეასრულეს მოსწავლეებმა ,სადაც ჩანდა მათი კრიტიკული დამოკიდებულება, აზროვნების უნარი, მსჯელობის, შედარება-დაპირისპირების . მოსწავლეები ნამუშევრის წარდგენის დროს თავისუფლად მსჯელობდნენ ფერწერაში წარმოდგენილი ნამუშევარი,რომ ყოფილიყო გრაფიკაში შესრულებული, როგორი იქნებოდა და ა.შ. აქედან გამომდინარე პედაგოგმა აღნიშნული კომპლექსური დავალება მომდევნო წლის კურიკულუმშიც გაითვალისწინა, როგორც გასული წლის საუკეთესო კომპლექსური დავალება. თუმცა იგივე კათედრის წევრს -მუსიკის პედაგოგს მიეცა ***რჩევა:*** **მუსიკის პედაგოგმა გადახედოს საბაზო საფეხურის კურიკულუმს, გაითვალისწინოს თემის ფარგლებში არსებული დასამუშავებელი საკითხების სიმრავლე, დააკავშიროს ჩასატარებელი საათების რაოდენობასთან და აქედან გამომდინარე დააკორექტიროს/შეამციროს კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, ვინაიდან წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები განსახორციელებლად არარეალურ სურათს წარმოადგენს.**

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- აბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ისგ-ს სხდომის ოქმი N1;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებების მაგალითები;

- კომპლექსური ტიპის  დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე;
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კლასის დამრიგებლის წლიური ანგარიში;
- კომპლექსური დავალებები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის დასკვნა;
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაცია;
- ისგ-ს სხდომის ოქმები;
- დანართი 25-თეატრი;
- დანართი 65-ისგ.ახალი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ხარისხის მართვის მექანიზმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში;
- საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების ნიმუში მუსიკაში.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში შეტანილი და შესატანად არჩეული, უკვე გამზადებული კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მაგ.: მათემატიკის კათედრამ ამის დასტურად გარდა კურიკულუმისა, წარმოადგინა გეოგრაფიასთან ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა. ასევე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული (მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ძალისმიერი ვარჯიშები, ლაშქრობა) და თეორიული (ოლიმპიზმი) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ხელს უწყობს განხორციელებული პროექტები, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მაგალითად პროექტი ,,საუბრები ფოტოგრაფიაზე“, ,,რა განძია გვქონია“ , პროექტი -თეატრი და ა.შ. დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ სკოლაში საკმაოდ აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმართველობა. წარმოდგენილია მათ მიერ განხორციელებული პროექტები: ,,ქალი მხატვრობაში“ , ,,წიგნების თარო“. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი კომპლექსური დავალებების, პროექტების და საწრეო( ფეხბურთის, კალათბურთის და სხვა...)მუშაობის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მოსწავლეები ჩართული არიან აქტიურ შემოქმედებით პროცესში. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. უნდა ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს თავისი საქმიანობის ფარგლებში მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარება/წარმოჩენას . სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების პროცესს აქტიურ ფასილიტაციას უწევს პედაგოგები. დავალებაზე მუშაობისას უწევთ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, პრობლემის გადაჭრის დროს, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. საგნობირივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით, რომელიც მოსწავლეს ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს, რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, ,,გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი. სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მნიშვნელოვანია, რომ დამტკიცებულ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები სრულად ფარავდეს სამიზნე ცნებებსა და სავალდებულო თემატურ ბლოკებს.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

### 3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომისაგან? ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომელიც მოსწავლეს უაქტიურებს შინაგან მოტივაციას და შესაბამისად მეტა კოგნიტურ უნარებს. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. აღნიშნული უნარების განვითარებას ხელს უწყობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლისას შეძენილი უნარებიც.მაგ.: ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, რომლის განმამტკიცებელი აქტიობებია: სასკოლო

ფესტივალები, სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, პროექტული დავალებები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმები. პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, კი ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის გააქტიურებას. კურიკულუმი კი, ფაქტიურად ესაა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (მაგ. მათემატიკაში მე- 7კლასი კომპლექსური დავალება „გარემომცველ სამყაროში წესრიგისა აღმოჩენა და ფორმულირება”).წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან არჩეული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ

განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს პროექტული სწავლებაც.უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სკოლას აქვს მდიდარი გამოცდილება.
მაგ.: მუსიკის პედაგოგმა ისაუბრა არაფორმალურ გარემოში მოსწავლეთა ვიზიტზე ოპერაში სპექტაკლ ,,ტოსკაზე“. კლასში დაბრუნების შემდეგ მოსწავლეებმა ისაუბრეს პარალელებზე, რომელიც მიღებულ ცოდნას და ოპერის ცალკეულ ეპიზოდებს დაუკავშირეს.
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგმა ისაუბრა ისტორიის საგანთან ერთად ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილზე ,,მუზეუმში ნასწავლი ისტორია“ და აღნიშნა, რომ მოსწავლეებმა შეძლეს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების მაგალითები;
- სკოლის ბლოგი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კომპლექსური დავალებები/რეფლექსიები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები;
- https://sacxerekorbouli.blogspot.com/
- პროექტი -საუბრები ფოტოგრაფიაზე;
- პროექტი -რა განძია გვქონია;
- პროექტი -თეატრი;
- პროექტი-ქალი მხატვრობაში;

- პროექტი -წიგნების თარო.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

კათედრების მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული

შედეგების მიღწევა. ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებში საინტერესოდაა წარმოდგენილი შექმნილი ჩარჩოები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის თუმცა, ჩარჩოების ნაწილი დასახვეწია. მასწავლებლებს აქვთ მზაობა აღნიშნული ცვლილებების განხორციელებისათვის. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას ადასტურებს უკვე განსაზღვრული და განხორციელებული კომპლექსური დავალებები. მაგალითად ის, რომ მათემატიკური მოდელი რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს აღწერს მათემატიკური ცნებების, ობიექტების და ენის გამოყენებით. (პროცესები შეიძლება ჩაიწეროს რიცხვითი გამოსახულების, ალგებრული გამოსახულების, განტოლების, უტოლობის, სისტემების, ფუნქციის, დიაგრამის, გეომეტრიული ობიექტების მეშვეობით). მათემატიკური მოდელი რომ გამოიყენება რეალური პროცესების აღსაწერად, ასახსნელად, პროგნოზირებისათვის და პრობლემის გადაჭრისთვის, აღწერილი აქვთ შეფასების რუბრიკებშიც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სწავლა რეალურად არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო - ემოციური სფეროს განვითარებაზე.მასწავლებელი ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. სახელმწიფო ენის კათედრის წევრმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას აქტიურად იყენებენ აქტიობას „პერსონაჟის სკამი“, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, როლური თამაშებს, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა თუ როგორ წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ მოსწავლეს განუვითარდეს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

საბაზო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ჰოლისტურია. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, ზეპირი კომენტარი მეტად ეფექტიანია მაშინ როცა მას აქვს აღწერითი ხასიათი, თუმცა შეფასებითი კომენტარებიც არის მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალება. კომპლექსური დავალებით მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიის შესაბამისად და მასწავლებელი ხედავს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს ასევე განმავითარებელ რეკომენდაციებს. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლისათვის უფრო მეტად დახვეწონ რუბრიკები და შეფასება გახადონ მეტად ჰოლისტური. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას საგნობრივი ჯგუფების მიხედვით არ წარმოუდგენია ან მხოლოდ ნიმუშის სახით აქვთ გაწერილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ შეფასების რუბრიკების დახვეწა/განახლება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა,რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა. მოსწავლეებმა წინასწარ იციან და ხშირად თვითონაც მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. თუმცა კათედრის დონეზე მასწავლებლები კონკრეტული მტკიცებულებები ან დასაბუთება, როგორ და რა მეთოდიკური ორიენტირებით მოახდინენ შეფასების კონცეფციისა და მიდგომის შემუშავებას მკაფიოდ ვერ წარმოაჩინეს. საბოლოოდ კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში თითოეული საგნის მიხედვით სწავლება მიმდინარეობს შეფასების

რუბრიკებზე დაყრდნობით, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი 10 ქულიანი შეფასების სისტემით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“**

### 5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე რომლის საქმიანობა აღნიშნული მიმართულებით ეყრდნობა ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტს. სკოლაში ვერიფიკაციის პროცესი სამი მიმართულებებით ხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი აჩვენებს სტატისტიკურად რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა. მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდამჭერის ფუნქციას. ხარისხის მართვის მექანიზმების მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს შიდა და გარე შეფასებას, რაც ხელს უწყობს სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის მე-2 საჯარო სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ა) ხარისხის გარე უზრუნველყოფა, აღიარებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტს, დაწესებულების მიერ განხორციელებული შიდა საქმიანობის პირდაპირ რელევანტურობას ხარისხის გარე უზრუნველყოფასთან.

ბ)ხარისხის შიდა შეფასებას ახორციელებს სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მექანიზმების მეშვეობით: აკვირდება შიდა პროცესებს, აკეთებს ანალიზს, გამოყოფს ძლიერ და გასავითარებელ სფეროებს, გეგმავს განვითარების გზებს. მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს და მის საფუძველზე შეაქვს ცვლილებები განვითარების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლის საქმისწარმოების წესი ითვალისწინებს მოსწავლეების შეფასების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით, რომლის მიზანია თვალი ვადევნოთ სწავლის დინამიკას და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაიგეგმოს ინტერვენციები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.საბაზო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კომპლექსური დავალებების მაგალითები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- კათედრის სხდომის ოქმები
- კლასის დამრიგებლის წლიური ანგარიში;
- სასწავლო პროექტები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- მასწავლებლის პორტფოლიო
- თვითშეფასების ფორმა
- ხარისხის მართვის დოკუმენტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლაში სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.სკოლაში საბაზო საფეხურზე კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემოა. ხდება გამოცდილების გაზიარება, გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვა, ურთიერთდასწრების გამოცდილება. სკოლაში აქტიურად მუშაობს ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მთავარი მიზანია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა. კურიკულუმის დაგეგმვისას შერჩეული თემები, საკითხები, ტექსტები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, წახალისებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. მოსწავლეებში თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე მიუთითებს ჯგუფებში შესრულებული დავალებები, აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები რომლებიც უვითარებთ მათ კოლაბორაციულ უნარებს და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განცდას. თანამშრომლობითი კულტურის ამაღლების მიზნით იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები, ექსკურსიები... სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ეფექტური კომუნიკაცია, იდეების გაზიარება, წარმატებული პრაქტიკის გაცნობა კოლეგებისთვის ქმნის თანამშრომლობით კულტურას, რაც ეხმარება სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს პიროვნულ თუ პროფესიულ განვითარებაში.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო სრულფასოვანი განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებისა და წარმართვის მიზნით, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა სადამრიგებლო პროგრამა.სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს .დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით: საუბრები მოსწავლეებთან,დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით; ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება;ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა; მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ. სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები.
- კათედრის სხდომის ოქმები
- კლასის დამრიგებლის წლიური ანგარიში
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ფორმა/უკუკავშირი
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება და ოქმები
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი 2023-2024 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

„

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);

სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).მონიტორინგი და შეფასება უშუალოდაა დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზთნ , რომელიც ეხმარება მათ იმის დადგენაში თუ რამდენადაა შედეგზე ორიენტრებული სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები და რა უნდა გაკეთდეს დასახული მიზნის მიღწევისთვის. ამ მიმართულებით სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება აწარმოოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, რომლის ძირითადი მიზანი სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარებაა.მაგ.: 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო შეთავაზებული 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა მეორე ინსტრუმენტი. პედაგოგებმა ერთმანეთთან შეთანხმებით დაგეგმეს მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასება ჩატარდეს ქიმია , ფიზიკასა და ბიოლოგიაში ყველა კლასში წელიწადში ორჯერ. მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. მონიტორინგი და შეფასება ეხმარება კათედრის წევრებს პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს: რას ვასწავლით? როგორ ვასწავლით? როგორ გამომივიდა? რა დავტოვო? რა შევცვალო? სკოლაში ასევე არის ხარისხის მართვის ჯგუფი,რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი და რომელიც ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას გულისხმობს. წელიწადში მინიმუმ 3 ჯერ იკრიბება და უზრუნველყოფს სკოლის მისიით განსაზღვრულ მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ასევე უცხოური ენის კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი, გამოავლინოს ძლიერი და სუსტი მხარეები. მასზე დაყრდნობით შეიმუშავოს და განახორციელოს ყველა ის აქტიობა, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კათედრებისა და ხარისხის მართვის ჯგუფის წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. სკოლას აქვს მზაობა სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის.რაც დასტურდება იმით, რომ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, ერთი მხრივ, დააკვირდება, რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს საფეხურის სამიზნე ცნებებთან მიმართებით, მეორე მხრივ, გამოკვეთს ტიპურ პრობლემებს და დაგეგმავს აქტივობებს მათ გადასაჭრელად. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის ოქმები.
- ხარისხის მართვის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმიდან და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. მათი ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. შეფასების სისტემა, მასწავლებელთა თქმით, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ეტაპზე იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომელთაც აქვთ ჰოლისტური ხასიათი, თუმცა ფიქრობენ, რომ ამ მხრივ პრაქტიკას დახვეწია და გააუმჯობესებენ ახალი კურიკულუმის დანერგვის პარალელურად. კათედრებს აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან ერთად შეიმუშავოს კიდევ უფრო მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები, სადაც სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით

სხვადასხვა კონტექსტში დააკვირდება პროცესებს, მოსწავლეთა ჩართულობას , სწავლების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს, რომელსაც მოიპოვებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ეს შეიძლება იყოს მატერიალური, სტატისტიკური და სხვა რესურსი.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,, შესაბამისი“.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება ,, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით. მაგალითად: მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება, რესურსების ხელმისაწვდომობა, მოსწავლეთა კონტინგენტი, სკოლაში დამკვიდრებული ღირებულებები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების განხორციელებისას, (რომლის ერთერთი ფორმაა პედაგოგიური პარაქტიკის კვლევაცაა), გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვს მზაობა და შესაძლებლობა, რომ შეფასება განახორციელონ კონსტრუქტივისტული პრინციპებზე დაყრდნობით. სახელმწიფო კათედრის წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ უპირატესობას ანიჭებენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაცია (მინისპექტაკლის,როლური თამაშის და სხვ.) ; ნაწარმოების ინსცენირება, ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, უკუკავშირს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.
სკოლას, წლების განმავლობაში თანამშრომლობა აქვს ქ.თბილისის ილიაუნის უნივერსიტეტთან, სტუდენტებთან ერთად აწარმოებენ კვლევას. პროექტში ჩართულია საბაზო საფეხურის 58 მოსწავლე და სკოლის 10 მასწავლებელი. კვლევის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ტესტირება სხვადასხვა ფორმით, გაკეთდა ანალიზი და დაიგეგმა ინტერვენციები. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სახელმწიფო ენის კათედრა გეგმავს მოსწავლეთაა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა კი ალტერნატიულ ინსტრუმენტებად განიხილავს ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს ფოკუს-ჯგუფთან, თვისებრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას და ა.შ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება საგაკვეთილო პროცესის, განხორციელებული პროექტების, სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის გათვალისწინებით. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. კათედრები გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცავდეს სხვადასხვა მიმართულებას. იმისთვის კი, რომ შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გამოყენებით სკოლა გეგმავს შეფასება წარიმართოს 3 მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლის პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- *დანართი 80- მემორანდუმი ა(ა)იპ კოალიციის განათლება ყველასთვის*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი: ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა და სკოლის დირექციის როლი. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლის ადმინისტრაცია ხარისხის განვითარების ჯგუფთან ერთად ქმნის:

- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად.
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

  აღნიშნული რეკომენდაციები იკითხება კათედრის სხდომის ოქმებში, მაგრამ კარგი იქნება თუ სკოლა შეიმუშავებს ერთიან რეკომენდაციების პაკეტს სასკოლო საზოგადოებისთვის, რომლის საფუძველზეც გადამუშავდება და შეიქმნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

კათედრები გეგმავენ ყოველწლიურად განიხილოს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავოს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ არის მზაობა, პროცესების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, კათედრებმა შეიმუშაოვს კურიკულუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადამუშავებული ვერსიები და მიგნებები ასახოს გადამუშავებულ კურიკულუმებში. პროცესს მონიტორინგს გაუწევს სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. წინარე გამოცდილების გათვალისწინება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა და არსებულ კურიკულუმშიც მეტ-ნაკლებად ასახულია წინა სასწავლო წლის მიგნებები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;**
- კოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- კათედრის სხდომის ოქმები
- კლასის დამრიგებლის წლიური ანგარიში
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მკაფიოდ არის გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმებში, სადაც ჩამოყალიბებულია, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას.. ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურზე, კერძოდ მე-10, მე-11 კლასებში ესთეტიკური აღზრდის საგნების, მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს პროექტული სწავლებით. მუსიკის პედაგოგს წარმოდგენილი აქვს პროექტი - „ეროვნული იდენტობისა და ევროპული მუსიკალური აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში“.მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზეა მორგებული უცხოური ენის კურიკულუმებიც. გამომდინარე იქიდან, რომ უცხოურ ენაში მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი, რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფეხურსა თუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავიანთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აირჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები რათა მეტად მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობები, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც რათა ამ პროცესში არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამ ანალიზზე დაყრდნობით მათ გადაწყვიტეს, ამ ეტაპზე, სრულად კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული არ ყოფილიყო მათი კურიკულუმები. ამასთან ერთად, თემებისა და საკითხების შერჩევისას, გარდა მოსწავლეებთან კომუნიკაციისა, კოლეგებმა ერთად შეაჯერეს და აირჩიეს ის თემები და საკითხები, რაც შესაძლებლობას მისცემდა უკეთ და მეტად ეფექტურად მიეღწიათ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგები. ასევე, ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექტურად. რაც შეეხება, მშობლებს, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრას კომუნიკაცია ჰქონდა სხვა კათედრების/საგნების მასწავლებლებთან, რაც გამოიხატა იმაში, რომ თემების შერჩევისას გადაამოწმეს ხომ არ იყო რაიმე პრიორიტეტული თემა სხვა საგნებში, რომლის დაფარვაც სასურველი იქნებოდა უცხოური ენების შემთხვევაში და რაც დაეხმარებოდა მოსწავლეს ამ თემის სიღრმისეულად გაგებაში. გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავალებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია/დირექტორის მოადგილე, რომელიც რჩევას და

მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედეგები სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **მაგ.:** ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო გეგმაში, პედ. საბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად.2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს მოაწყოს ,,ღია კარის დღე „ სადაც სასკოლო კურიკულუმი გაეცნობა სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი.

**რჩევა: სახელმწიფო ენის კათედრის კურიკულუმებში გამოკვეთილი იქნას გრძელვადიანი მიზნები და ჩაშენებული შუალედური მიზანები.**

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები კლასის მშობელთა კრებაზე აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს დამტკიცებულ კურიკულუმებს; ასევე, სკოლა იყენებს teams-ის პლატფორმას და სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები უზიარებენ მშობლებს დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებს, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს. ახალი სასწავლო წლისთვის, სკოლა გეგმავს შექმნას ვებგვერდი და განაახლოს არსებული ბლოგი, სადაც განთავსდება სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიკულუმი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ქიმიის - X კლასის კურიკულუმი;
- ფიზიკის - X კლასის კურიკულუმი;
- ბიოლოგიის - X კლასის კურიკულუმი;
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- მე-10 კლასის პროექტული სწავლება და შეფასება მუსიკაში.
- თვითშეფასების ფორმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საშუალო საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცდილების გააქტიურებაზე. ვინაიდან სახელმძღვანელო განიხილება ერთ-ერთ ძირითად რესურსად და გრიფირების პროცესის გამო მე-11 კლასის სახელმძღვანელო არ იყო წარმოდგენილი სკოლებში, ამიტომაც ამ კლასის კურიკულუმის ჩარჩო არ იყო წარმოდგენილი საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.ესთეტიკურ კათედრაზე საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით შემოიფარგლება. კათედრას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტი „ეროვნული იდენტობისა და ევროპული მუსიკალური აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში“. მუსიკის პედაგოგმა ინტერვიუს დროს დააზუსტა, რომ მოსწავლეები, პროექტის ფარგლებში იმყოფებოდნენ ზ.ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში, ხალხურ საკრავთა მუზეუმში. ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნახეს ოპერა ,,ტოსკა“, სკოლაში ნახეს ფილმი ,,ზაქარია ფალიაშვილზე, ოპერა ,,აბესალომ და ეთერი“, მოაწყეს დისკუსია და მოამზადეს პრეზენტაციები. მსგავსი პროექტები მოსწავლეზე ორიენტირებულია და აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას, ისინი ხშირად ირგებენ სხვადასხვა როლს: არქეოლოგის, მხატვრის, ექსპერტის როლს, რაც იწვევს მათ ემოციურ კმაყოფილებას, ემპათიას, შინაგანი ძალებისა და მოტივაციის ზრდას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ 10 კლასის კურიკულუმების ჩარჩო პროექტები. ძირითადად ორი სავალდებულო თემიდან კომპლექსური დავალების განხორციელება იგეგმება მხოლოდ ერთ თემაში, ჩარჩოში ასახულია შერჩეული კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ- მაგალითი. ხოლო მეორე თემაში გაწერილია მხოლოდ საკითხი/საკითხთა კლასტერი, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრებს შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის აქვს კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება. ასაკის შესაბამისად, მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, სადაც ისინი არიან შემოქმედნი, ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ქმნიან პროდუქტს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. მაგ.: ახალი სასწავლო წლისათვის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გაწერილია სწავლების მიზნები. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში ნაწილობრივ წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტ-მაგალითები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსურ დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე). როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება.

**რჩევა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ შეიმუშავოს XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო სამივე საგანში(ქიმია,ფიზიკა,ბიოლგია).**

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

პროექტული სწავლებისას, კომპლექსური დავალებების პროდუქტებში არჩევანის შესაძლებლობა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას. პედაგოგები სპეც. მასწავლებლებთან ერთად ახდენენ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას და დიფერენცირებას. ამ ეტაპზე, საშუალო საფეხურზე არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტები. ვინაიდან სკოლას საშუალო საფეხურზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა დაწყებით საფეხურზე გაწერილი ისგ.გეგმის ნიმუშები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მომავალში , საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რათა სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს**

წარმოდგენილი შეფასების სანიმუშო რუბრიკა **საშუალო საფეხურზე** ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.
მაგ.: მათემატიკის კათედრამ წარმოადგენია 1 სანიმუშო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ცალკე ფაილად. აქვთ მზაობა, სამივე კლასშიც შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.

რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ამ ეტაპზე არ წარმოუდგენიათ, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების როლი, ის მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, რაც ეხმარება მასწავლებელს უკეთესად იზრუნოს მოსწავლის შემდგომ განვითარებაზე. ამ რუბრიკებზე დაყრდნობით გაცემული განმავითარებელი შეფასებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. აქვთ მზაობა შექმნან და გამოიყენონ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
**რჩევა:სკოლას ვურჩევ ყველა საგანში შექმნას/დახვეწოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.**

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე კათედრებთან საუბარში ნათლად გამოიკვეთა, რომ დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. კომპლექსური დავალებების კეთების პროცესში, კათედრაზე მასწავლებლები ინიშნავენ წარმატებით განხორციელებულ აქტივობებსა და მეთოდებს და შეაქვთ მომავალი წლის კურიკულუმში. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რადგანაც დაგეგმვისას მნიშვნელოვანია სასაწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება, მოსწავლეთა მიერ ესგ-ით განსაზღვრული შედეგების დაძლევა. გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის, როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. რომელსაც კათედრები განიხილავს და აჯამებს სხდომებზე. წლის ბოლოს კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება თითოეული მასწავლებლის საქმიანობის ანალიზის წარმოდგენა, რის საფუძველზეც იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში მომდევნო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წლისთვის მასწავლებლები მიზნის მისაღწევად სახავენ ახალ გზებს და გეგმავენ ახალ აქტივობებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპლექსური ტიპის დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე.
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ისგ-ს სხდომის ოქმი N1;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებების მაგალითები;
- მე-10 კლასის პროექტული სწავლება და შეფასება მუსიკაში.
- პროექტის ამსახველი ფოტომასალა.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

**1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებელებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლებს შესთავაზობენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამდაგვარდ შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს სხვადასხვა რესურსებით თუ კონტექსტ მაგალითებით. სასურველია, საშუალო საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში

კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს. მაგ.: მათემატიკის კათედრა ერთ-ერთ რესურსად იყენებს „მათემატიკური წიგნიერების" ახალი სახელმძღვანელოს. კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს პროექტული სწავლება. მიუხედავად იმისა, რომ 2022-2023 სასწავლო წელს ესთეტიკის კათედრაზე საშუალო საფეხურზე პროექტულ სწავლებას ახორციელებდა მუსიკის საგანი, დოკუმენტაციაში მრავლადაა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის პედაგოგის მიერ განხორციელებული პროექტების მტკიცებულებები. ,,მუზეუმში ნასწავლი ისტორია", ,,აღდგომიდან ამაღლებამდე".

პროექტები გასულ წელს განხორციელდა და დასკვნითი/შემაჯამებელი აქტივობები, პრეზენტაციები, გამოფენები მოეწყო სკოლის დონეზე. მსგავსი პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, მოტივაციის ზრდას და პოზიტიურ დამოკიდებულებებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

სასწავლო პროცესი **საშუალო საფეხურზე** ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, დასტურდება წარმოდგენილი კურიკულუმებით, ინტერვიუთი და სასწავლო პროექტებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით (მათი ნაწილი ასახულია კიდევაც წარმოდგენილ კურიკულუმში რესურსების ველში) მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზით (ინტერვიუს დროს ესეც დაზუსტა, რომ კათედრას შედეგების ანალიზი აქვს და ინახება კათედრაზე). სკოლა საშუალო საფეხურზე შეარჩია კომპლექსურ დავალებები, რომელიც მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტში იქნება განხილული, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეებს, ეხმარებიან მათ შესრულებული დავალების გაანალიზებაში. სთხოვენ მათ გაუზიარონ თანაკლასელებს გამოცდილება მათი სწავლის შესახებ. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია თვითრეგულირებადი სწავლა, მასწავლებელი ამ პროცესში არის ფასილიტატორი და ეხმარება მოსწავლეს იმის გაანალიზებაში თუ რა გამოუვიდა კარგად და რა არა. აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპებზე, რომელიც ეხმარება მათ, თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მასწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, ამისთვის უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ სქემას. პრაქტიკული სავარჯიშოები შეესაბამება პროცედურებს, რომლებიც მოქმედებების განხორციელების საშუალებას იძლევა. პროცედურული ცოდნა უპასუხებს შეკითხვას: როგორ განვახორციელო? დინამიკური ხასიათისაა და მოქმედებათა განხორციელების საშუალებას იძლევა. პირობისეული ცოდნა აერთიანებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას და გულისხმობს ტრანსფერს ცხოვრებაში. სწავლებისას გამოყენებულია პროექტებით სწავლებაც, რაც ასევე ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებას.

ცოდნათა სამ კატეგორიის მნიშვნელობაზე კათედრამ ისაუბრა შეხვედრაზე და აღნიშნა, რომ ისინი შემაჯამებელ ტესტს აგებენ ისე რომ მოხდეს ფაქტობრივი ცოდნის გახსენება რაც ძირითადად ტერმინოლოგიის გახსენებას, ინფორმაციის მიზნობრივ დასახელებას გულისხმობს ასევე ფორმულის ჩაწერა, წესის გახსენება, ხოლო პროცედურული ცოდნისათვის მის გამოყენებაზე გააკეთეს ყურადღება მაგ; როგორ ახდენს მოსწავლე გამოსახულების გამარტივებას, რა კანონზომიერებებს ამჩნევს საკითხებს შორის, ამის შემდგომ მოხდეს საკითხის ტრანსფერის უნარით სხვადასხვა სამეცნიერო დარგში გამოყენების უნარების განვითარება. ამ პროცესებში ასევე მნიშვნელოვანია გამოიყოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესები რომელიც წარიმართება ცოდნათა სამი კატეგორიის გააქტიურების ხარჯზე. სასწავლო პროცესისისთვის დაგეგმილი კურიკულუმები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (პროცედურულ,პირობისეულ და დეკლარატიული) წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). მასწავლებელთა პორტფოლიოებში ასახული მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებებიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ააქტიურებს სამივე სახის ცოდნას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილვევი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- საშუალო საფეხურისკურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების მაგალითები;
- სკოლის ბლოგი
- *მე-10 კლასის პროექტი*
- *პროექტი - მუზეუმში ნასწავლი ისტორია*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

კათედრების მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში წარმოდგენილია საინტერესოდ შექმნილი ჩარჩოები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის თუმცა, ჩარჩოების ნაწილი დასახვეწია. მასწავლებლებს აქვთ მზაობა აღნიშნული ცვლილებების განხორციელებისთვის. მასწავლებლები აღნიშნავდნენ სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას ადასტურებს უკვე განსაზღვრული და განხორციელებული და კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

წარმოდგენილ დოკუმენტებში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენელების უმრავლესობაბას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლები იყენებენ პერსონაჟის სკამი, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, სკოლა იყენებს როლური თამაშებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, სიტუაციურ მაგალითებს. აღნიშნული ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი“.**

**3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წამოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ პროცესს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. გასუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. საბუნებისმეტყველო კათედრაზე სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შეირჩა მეორე ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

### 4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილეობენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები ცნობილია, როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მშობლებისთვის კომპლექსური დავალების ბართების მეშვეობით. მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. გასაუბრებისას მასწავლებლებმა მეტნაკლებად გამოკვეთეს როგორ და რა მეთოდიკური ორიენტირებით მოახდინენ შეფასების კონცეფციისა და მიდგომის შემუშავებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმი გაწერილია დოკუმენტში, რომელშიც ვკითხულობთ, რომ სკოლაში არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი: ხარისხის ჯგუფი წლის განმავლობაში იკრიბება საჭიროების მიხედვით, მინიმუმ 3-ჯერ.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს შიდა და გარე შეფასებას, რაც ხელს უწყობს კორბოულის მე-2 საჯარო სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ა) ხარისხის გარე უზრუნველყოფა, აღიარებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტს, დაწესებულების მიერ განხორციელებული შიდა საქმიანობის პირდაპირ რელევანტურობას ხარისხის გარე უზრუნველყოფასთან.

ბ)ხარისხის შიდა შეფასებას ახორციელებს სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მექანიზმების მეშვეობით:

•აკვირდება შიდა პროცესებს

• აკეთებს ანალიზს.

• გამოყოფს ძლიერ და გასავითარებელ სფეროებს.

•გეგმავს განვითარების გზებს

• მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს და მის საფუძველზე შეაქვს ცვლილებები განვითარების მიზნით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლის საქმისწარმოების წესი ითვალისწინებს მოსწავლეების შეფასების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- .თვითშეფასების ფორმა.
- მე-10 კლასის პროექტი.
- შეფასების რუბრიკები რომელიც გაწერილია პროექტში.
- ხარისხის მართვის დოკუმენტი

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად

შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას. სკოლაში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. შექმნილია სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ აქტიურია მოსწავლეთა თვითმართველობა, რომლის წევრებიც ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები თანამშრომლობენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან და ხელს უწყობენ მათ ჩართულობას სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში.სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები: სამოქალაქო კლუბი, ლიტერატურული კლუბი, კლუბი-მუსიკის ჰანგები, გეოგრაფიის კლუბი და სხვა. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე, შექმნილია მხარდამჭერი გარემო. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

## 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე, იმ მხრივ, რომ ის განვითარების ინსტრუმენტად აქციონ. მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილს განახორციელონ რემედიაციული აქტივობებიე.მაგ.:ესთეტიკური აღზრდის კათედრის კურიკულუმებში წარმოდგენილი პროექტები გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. დავალებები იძლევა საშუალებას, მოხდეს მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი სადიაგნოსტიკო ტესტების, კვლევების და პერიოდული გამოკითხვების საშუალებით, რაც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში აქცენტი კეთდება პროგრესზე. მასწავლებლები ხელს უწყობენ და ახალისებენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარის განვითარებას. მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ამის საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური დავალებები, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

კათედრის წევრები თანამშრომლობენ, გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ერთობლივად იღებენ სწავლა-სწავლების საკითხებთან დაკავშირებულ საჭირო გადაწყვეტილებებს. სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, ხდება ურთიერთდასწრებები საგნობრივი კათედრების წევრებს შორის და უკუკავშირის გაცემა და გაზიარება, მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. სკოლაში ტარდება სამუშაო შეხვედრები, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებზე, კონფერენციებზე ინტერნეტ სივრცეში, საგანმანათლებლო პერიოდულ გამოცემებში მოპოვებულ ინფორმაციასა და ინოვაციებს. კათედრის წევრებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, რაც დასტურდება კურიკულუმის ჩარჩოს შექნის პროცესში პედაგოგთა თანამშრომლობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებისა და წარმართვის მიზნით, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა სადამრიგებლო პროგრამა.სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს .დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით:

-  საუბრები მოსწავლეებთან;
-  დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;
-  ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება;
-  ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა;
-  მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ.

სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რაც გულისხმობს მათი უნარისა და შესაძლებლობების დაფასებას; იციან, რომ მასწავლებლები დადებითად შეხვდებიან მათ შეკითხვებს, განსხვავებულ მოსაზრებებს, წაახალისებენ შემოქმედებითობასა და კრიტიკულობას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები.
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამა
- სხვადასხვა კლუბების არსებობის დამადასტურებელი მასალა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის).
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

მონიტორინგი და შეფასება ეხმარება კათედრის წევრებს პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს: რას ვასწავლით? როგორ ვასწავლით? როგორ გამომივიდა? რა დავტოვო? რა შევცვალო? . სკოლაში ასევე არის ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას გულისხმობს. წელიწადში მინიმუმ 3 -ჯერ იკრიბება და უზრუნველყოფს სკოლის მისიით განსაზღვრულ მიზნების მიღწევას. **მაგ.:** 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო შეთავაზებული 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა მეორე ინსტრუმენტი. პედაგოგებმა ერთმანეთთან შეთანხმებით დაგეგმეს მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასება ჩატარდეს ქიმია, ფიზიკასა და ბიოლოგიაში ყველა კლასში წელიწადში ერთჯერ; მიღებული შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება მონაცემების დამუშავება საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

### 3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

საშუალო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ხდება ისე, რომ იგი განაპირობებს ეფექტიან ანგარიშვალდებულებას და წაახალისებს ლიდერობას. ეს კი წინაპირობას ქმნის სამუშაო პროცესის გაუმჯობესებისთვის სწორად გაწერონ სკოლის სამომავლო გეგმები. მომავალი წლიდან იგეგმება ურთიერთდასწრების პრაქტიკის კიდევ უფრო გააქტიურება. კათედრის წევრების მიერ გაზიარებული ურთიერთდასწრების პრაქტიკა იმის მაგალითია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერაა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

### 4. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კათედრებისა და დირექტორის მოადგილის, ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა. **მაგ.:** უცხოური ენის კათედრას კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშეფასების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასება. შერჩეული ინსტრუმენტი შესაძლებლობას მისცემს მასწავლებლებს გამოკვეთონ პრობლემა, ამ პრობლემაზე დააფიქრონ მოსწავლეები და მათთან ერთად დაგეგმონ გამოსავლის გზები. კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ მოსწავლეთა საჭიროებები. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და ეფექტურ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში.
- კათედრის ოქმები.
- ხარისხის მართვის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმიდან და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. მათი ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. შეფასების სისტემა, მასწავლებელთა თქმით, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის,როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ .მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას სამუშაო აქვს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ განმავითარებელ შეფასებებს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, უკუკავშირს, მოსწავლის თვითშეფასებას. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. **მაგ.**:სახელმწიფო ენის კათედრას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის" ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".**

**4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება საგაკვეთილო პროცესის, განხორციელებული პროექტების, სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის გათვალისწინებით. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. აცნობიერებს, რომ მოსწავლეთა შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ ამავე მოსწავლის ფუნქციური უნარ-ჩვევები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომელსაც მონიტორინგს უწევს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწინებენ მიღწევების თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედო გეგმას. თუმცა ამ ეტაპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ აუცილებელია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინებით. კათედრები 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავენ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- წლიური სამოქმედო გეგმა;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..........................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი: 16.09.2023 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: